ශ්‍රීලංකා විද්‍යාලයීය ක්‍රීඩා සංගමය
ශ්‍රීලංකා
ක්‍රීඩා වාර්තාව
කාණ්ඩය - III
කමිටු සභාව

ධර්මය බුදුරජාණන්වහන්සේගේ

ධර්මය හරි දුක්කාරණවීගේ

පිටපත - 111

කරිකටුවන්න

წიგნი მესამე კრებულია ავტორის ლექსებისა.ლექსები გადარჩენილი ხმაა წინ მიმავალისა.ავტორი ერთგვარი უჩინარი ხელი წინაპარისა.ხიდი პაპისა და მისივე მოდგმისა.დრო პირობითი საზომი მოკვდავის თვალსაწიერისა.ქარაგმა დასტურია გამარჯვებისა.კრებული პირია პაპისა.ცდა პირობის დაცვისა.პაპის ხმა გაუგონია კაცსა.მისივე სახელით უთქვია მოდგმასა.

*რედაქტორი: **ვაჟა შუბითიძე***

ისტორიის დოქტორი,პროფესორი

*რეცენზენტი:**ბადრი ცხადაძე***

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

პაპა ხევისპირელი.თბილისი.2023

გამომცემლობა ივერიონი

დავუდგი ძეგლი მამის ხსოვნასა. მამის სახე ნათელია. ვეცადე დამეფასებინა ხსოვნა მამისა. მაღალი შუბლი სინდისია კაცისა. მამა პირნათელია მოდგმის წინაშე. მამას თავსა ქუდი სამკუთხა ალეგორია სამი ძე მამისა. ქუდის თავს პატარა ფიგურა მე ვარ. სიმაღლე, წვერო საზომია კაცის სახელისა. ძმათაგან ყველაზე მაღლა მე ავედი. მე ყველაზე მაღლა მყოფი, ვხედავდი მამისავე მოდგმის სიხარბესა, მათივე ვერაგობასა. ვერ შევძელი შეჩერება მათივე ვერაგობისა. მათ ბევრად დიდი ასპარეზი მივეცი, გავზარდე ზომა მათივე სიხარბისა. ვეცადე დამეცვა სახელი მამისა. ვერ გავუმკლავდი მამის აუგად ხსენიებასა. შევძელი, დავამარცხე მტერი მამისა, მისივე წინაპარისა, ვერ გავექეცი ცოდვასა. დავიბრუნე, ავაგე დაქცეული ციხე მამისა. დააქცია ვერაგმა, მამის ხათრით აღვადგინე სახლი მთასა. მამის სახელით ავაგე ეკლესია ბაკოსა. ვერ დავიცავი მოდგმა მამისა. ერთი ძმა მოკვდა ტაშირსა, მეორე მარხია დაბლა ხევსა. ვერ დავუტოვე ციხე მამის მოდგმასა, ვერცა სახლი ბაკოსა, ვერცა მამული ზედა აჭარასა. ვიცოდი მამა შეეწირა თავისივე მამულის დაცვასა. მე დავუკარგე მოდგმას მამული მათივე პაპისა. დიდი თავადის მოდგმა ვაქციე ვითა მოდგმა მეფისა. დავმალე მოდგმა მამისა, მოდგმა პაპისა. წავართვი სახელი ჩემივე გვარსა. ერთი ძმის მოდგმა ვარდანისძე, მეორე დაბლა ხევსა აბუსერისძე. ჩემი მოდგმა ამოეფარა სამეფო გვარსა. ვიცოდი კაცის სიმაღლე იზომება ღვაწლითა. მთელი ცხოვრება ვიღვაწე, ვერ დავიცავი სახელი მოდგმისა. ვფარავდი კვალსა ჩემივე წინაპარისა. მეგონა ასე დავიცავდი მეფის სახელსა. ვეცადე დამეცვა სიცოცხლე პატარისა, თურმე წავართვი სახელი პაპისა. მამის თავსა პატარას, შარავანდედი მხურავს თავსა. თვალს ვერ ვუსწორებ მამის ნათელ

ხსოვნასა. ვიცი მამა არ მომიწონებს საქციელსა. მამის თავსა თალხი ნაღვაწია ჩემივე ხელისა. მამას ვადარებ მთასა. დავრჩი ვითა პატარა მთის წვერსა. ვერ დავაფასებ ამაგსა.

მომიტევოს უფალმა, ვერ შევძელი დაფასება ჩემივე მამისა. მისმა სახელმა დამიცვა, ვერ შევძელი დამეცვა სახელი მამისა.

ვიცი დრო ეცდება ჩემივე საქციელის გამართლებასა.

დრო არ დაკარგავს მოდგმასა

ხარმა თქვა

ხარმა თქვა ხარის სათქმელი, ჩუმად მიმქონდა ჭაპანი,
ვიცოდი ხალხი იტყოდა, ვიდოდი გზასა კაპანის,
ვიხვეჭდი კაცის სახელსა, ჭალად ვაქციე ჯარგვალი,
ვიცავდი სახლის სახელსა, ვიყავი ფასის დამცავი.

სიტყვის სიმაღლე ვიცოდი, ამბავი კარის, თა პანის,
ხარი ბოლომდე წაიღებს, დატოვებს ამბავს გატანის,
ცხენი რბოლასა იღლება, აქლემი გზასა ქარავნის,
ზაქი მძიმე ჯვარს წაიღებს, დრო ჰპოვებს მთასა ატანილს.

ვიცოდი ხალხი იტყოდა, ნაღვაწსა ტბელის, დაბელის,
უცნაურია სამყარო, მკვდარი ბრუნდება სახელი,
მტერს და მოშურნეს დაამცრობს, დადგება გზასა გათელილს,
ფასი აქვს ბოლო სიტყვასა, ვითომ ათასგზის გამხელილს.

ვიცოდი კაცი იტყოდა, იცოდა ხარის სახელი,
ვიცოდი კაცი იბრძოდა, დაგროვებოდა სათქმელი,
ციხის სახელი იცოდა, იცოდა ზვარი სამკელი,
დაიცვა ხარის ნაღვაწი, ხელი რუსთველის, დაბელის.

ძველია დროთა საცავი, დამარხულია ქვა-ხელი,
ვიცოდი, კაცსა ველოდი, თვალი პატარა სარკმელი,
მოვიდა ხარი იპოვა, სურათი ტილო ქვახვრელის,
ახალთახალი სათქმელის გადმოდენილი ჩანჩქერი.

სახლი ხლათისა

ხლათი სახლია ხარისა, იბერთა დასაბამისა,
ციხე ვახტანგის ნაგები, ქარაგმა მგელის თავისა,
გალავანს ხარი იბერთა, ხეთთა და ზანთა გვარისა,
თუშპა კობი და ხისია, სახლია ხუთი ჯვარისა.

მგელი ვახტანგის ხელია, ხარი ხელია პაპისა,
ციხის სახელი ოთხია, ხელია ოთხი კაცისა,
თუშპა პირველი სახელი, სახლია ზანთა კაპისა,
თას შვილი თუში ყოფილა, პას ხმაა თეთრი კაცისა.

ხეთთა სახელი ხისია, სახლი და სიტყვა მისია,
ხი სახლი ზანთა ხარისა, სახლი სიტყვისა ხილსია,
კობი იბერთა ქარაგმა, ნაზავი ორი სისხლია,
დარიალს გადარჩენილა, პაპის სახელი იციან.

ხლათი რუსთველის ხელია, ქარაგმას ურთა წერია,
პატარა მეფე ხარია, ხლათსა სასახლე სჭერია,
დაფარულია ამბავი, ახალი მოდგმის ჯერია,
დაუმალია თბილისსა, სხალთასა დაურქმევია.

სხალთა სახელი ხევისა, სახელსა ხელი ტბელისა,
კაპანი კაცის ხევია, სახლია შავი ბერისა,
ოცდათორმეტი ამბავი, პაპისა ფარსმან ქველისა,
ირი იბერის ქარაგმას, ხიხანსა თვალი მცველისა.

ხლათი და სხალთა ქარაგმა, ყურსა ხმა მსგავსი ჟღერისა,
იბერთა დასაბამი და სახლი ახალი რწმენისა,
ასი და ოცდათერთმეტი, ზეობა ფარსმან ქველისა,
იბერთა ორი ქარაგმით, ხმა ისმის ორი ერისა.

დიდაჭარაა დიდება, სხალთა სიმაღლე ჭერისა,
მაღალმთას ბერას ჯვარია, წმინდა ანდრიას ხელისა,
ღვთისმშობლის თაა მარეთი, სახლი მაცხოვრის დედისა,
არსიანს ქედი ჭაპანის, გოლგოთა გზაა ბედისა.

სამდურავი კაცისა

კაცმა თქვა: ჯაფამ დამღალა, გზას დაღალულნი მიდიან,
მანამ მივედი ყანასა, ზმუოდა ზვარი დიდია,
ვიცოდი ხარის ამბავი, ვიცი უქნარა ფლიდია,
მინდოდა მოვლა ყანისა, ვერ დახნა გასაყიდია.

ხარმა თქვა: ზვარი დიდია, პატრონსა ყანა ჰგონია,
პატარა ხარი ყანისა, პატრონსა ზაქი ჰგონია,
პატრონი ასე იძახის: ძველთაგან გამიგონია,
ზაქსა ვინ ჰკადრებს ყანასა, თუ ზვარი გასაზომია.

ცხენმა თქვა: კაცმა დამღალა, ვერ დავისვენე რბოლასა,
დილიდან რაშად ვიქეცი, კაცსა ვიცავდი ბრძოლასა.
ვირმა თქვა: კაცი ხარბია, ტვირთსა უმატებს წონასა,
საპალნე ტვირთი ამკიდა, მითხრა წაიღე შორასა.

ძაღლმა თქვა: კაცი ბრიყვია, კარსა დამტოვა ყინვასა,
ზამთრის სიცივე მაშინებს, ზაფხულსა ვუფრთხი წვიმასა,
სახლის დარაჯი დამარქვა, ეზოს დამტოვა წინასა,
წინ ჩამირაზა კარები, თვითონ ბუხართან სძინავსა.

მამალმა დილას იყივლა, თქვა საყვედური კაცისა,
საქათმეს რატომ მამადლის, დილა ყოფილა მამლისა,
მზე რომ ამოდის არ იცის, ამოჰყავს მამლის ძახილსა,
დამიფასებდეს პატრონი, მომცემდა კოშკსა ციხისა..

ცოლმა თქვა: კაცი ზანტია, არ იცის საქმე ქალისა,
მერჩივნა კაცის სახელსა, მყოლოდა კაცი სახლისა,
ჯაფისგან დავისვენებდი, მივცემდი ხელსა ბალღისა,
დილამდე დავიძინებდი, ვიტყოდი ქებას კაცისა.

ხალხმა თქვა: კაცის სახლია, სახელი დარჩა ზაქისა,
იცავდა ხალხის სახელსა, იყო პატრონი ზვარისა,
მთელი სიცოცხლე იღვაწა, კვალი დატოვა ხარისა,
გზა მისი აგებულია, გზა სავალია ხალხისა.

თურმე ხიდები უგია, გზასა ვაჭართა საფარი,
სახელი დიდი ჰქონია, საქმე უჩინო, მრავალი,
ხარმა წაიღო ჭაპანი, დაიცვა მეფე თამარი,
იცავდა მეფის სახელსა, ხარი ყოფილა მთავარი.

სახლი პაპის ხარისა

პონტოს ზღვა ზაქის წყალია, კასპია ზაქის ხარია,
პაპა ხარია მეფისა, პასკია პაპის წყალია,
პატარა წყალი მთებისა, პატარა გზასა მგზავრია,
ტბასა სახლია ხარისა, შეერწყმის ვინცა გაჰყრია.

ხიხანი ხარის თავია, მდინარე რუის წყალია,
სათავეს ტბები ივსება, გავა ქურციკი ჩქარია,
ხიხანსა ხარის თავია, კასპიას მივა მტკვარია,
პონტოს ზღვას ზაქი ისვენებს, გზას მიმავალი ღარია.

აჭარას ზაქის ხარია, ხიხანსა წყალის თავია,
კასპია სახლი კაცისა, მდინარე კაცის ხარია,
სათავეს ხევი ღრმანისა, მდინარე სახლის კარია,
კვარის ტყე პაპის სახლია, მტკვარის სახელი კვარია.

მტკვარი იბერთა ხარია, კაცი ხეთების გვარისა,
ხართაღი თავი წყალისა, რუსთავი სახლი მთვარისა,
არსიანს ქედი ხარისა, ზურგი ანდრიას ჯვარისა,
ღრმანსა ვაკეა ნაქარგი, თავის და შესართავისა.

ხიხანსა ზაქის ხარია, სახლი ხარისა კვარია,
ორი მდინარის სათავე, ორი ხარისა თავია,
მდინარე ორი ხარია, ორი სახლისა კარია,
აჭარა ფურის წყალია, კასპიას კარი მტკვარია.

სახლი სამი ხარისა

ტაო კარია ხერისა, სახლი მხარია სპერისა,
ხისი იბერთა სახლია, პართია სახლი მტერისა.
პაპისა ხელი ხლათია, საზომი სახლის ჭერისა,
ზაქის სახლია კაპანი, ეგრისი წმინდა ბერისა.

ფერის მთა თურმე ფურია, ფური ზოსიმეს ხარისა,
არსიანი და გოდერძი, ხიხანი გული ჯვარისა,
ხარფუხი ხარის ქედია, კისერი კოჟრი ზღვარისა,
ფურის სახლია კოლხეთი, ზღვარია მთა ზეკარისა.

ხარი იბერთა მიწაა, ფუხი სახლია ფურისა,
არი იბერთა კაცია, სი სახელია სახლისა,
ანი ქალღმერთი ხარისა, ღარი მთა არსიანისა,
ქედი გამყოფი ხაზია, სახლის კაცის და ქალისა.

ხიხანის თავსა სახლია, შეკრება მთათა ჯარისა,
ქედი იბერთა ზღვარია, ჯვარი ზურგია ხარისა,
ფერდი ხელია კაცისა, ჯვარისა წასატანისა,
წყალთა შეკრებას რუ ერქვა, სახლი ანის და ბანისა.

წყალთა შეკრება ხევია, ძირს ღარი საზიდარია,
მაჯისა ხევი ხუთია, საცავი მაჯის ტარია,
ხევებსა ჩამომდინარე, რუ დასაწყისი, კარია,
რუსთავი ხარის ზურგია, გზას მიმავალი მტკვარია.

ხმა მოძღვარისა

ხარსა ხმა ესმის ხარისა, პაპას მოესმის პაპისა,
სიცოცხლე მალე მთავრდება, რჩება საქმენი ხარისა,
სიცოცხლეს ხარი აგრძელებს, მიაქვს ჭაპანი მკვდარისა,
ხარი ასრულებს საქმესა, საქმესა წინა ხარისა,

ხარის მოძღვარი ხარია, ცოცხალი თუნდა მკვდარია,
მოძღვარი ხარის მწვრთნელია, გაწვრთნა ხარისა ძნელია,
ხარი თანდათან იზრდება, ხარსა მოძღვარის ხელია,
ტვირთი იზრდება ხარისა, ჭაპანი ბევრად გრძელია.

ხარსა მოძღვარი გამოწვრთნის, შეგირდი ხარი გახდება,
ხარის სახელი დიდია, სიტყვა ხარისა ფასდება,
ხვედრი ხარისა მძიმეა, კისერის, ტანის გაძლება,
ხარი ჭაპანსა წაიღებს, ბრმა ვერ გაიგებს რა ხდება.

ხარმა სახელი დატოვა, დროსა ელოდა მხარისა,
იცოდა ხარის სახელი, სახლი იცოდა კაცისა,
იცოდა ხარი იტყოდა, სათქმელსა ზაქის გვარისა,
იტყოდა პაპის სახელსა, წასაღებ-გასაკვალისა.

იცოდა ზაქმა სახელი, სახლი იცოდა ხარისა,
დრო დადგა, ახლა იწყება, სათქმელი დიდი პაპისა,
პაპის სახელი გაიგეს, გაიგეს ავის კარგისა,
მთავარი ხალხის სიტყვაა, პაპა მთქმელია ამბისა.

ხარის მოძღვარი ხარია, გზასა დგას დასაბამისა.

ცრემლი კაცისა

მეფისა დარდი დიდია, მეფენი ჩუმად ტირიან, ცრემლი
თვალთაგან ვარდება, გული ვარამის წურია, გულსა
იწყება დუღილი, ცრემლს აზვირთება სწყურია, ვითა
ხრამი და ქარაფი, გადმოვარდება გულია.

ცრემლი ლაჩარის ჰგონიათ, კიცხავენ გულსა კაცისა,
სირცხვილი გულქვა კაცია, სიხარბე კაცის თვალისა,
კაცსა მოყვასი სტკიოდეს, სტკიოდეს ხვედრი კაცისა,
ცრემლია კაცის ტკივილი, ტილოა კაცის სულისა.

კლდესა მდინარე ჩამოდის, ჩანჩქერი ვარდნა წყალისა,
ქვათა ბუნება ცივია, წყალია კლდისა თვალისა,
კლდესა დავარქვი სახელი, მდინარე გულქვა დარბისა,
კაცი გრძნობითა საცავი, ცრემლი გამოთქმა დარდისა.

ხარბისა ცრემლი ცივია, ცივია გული ხარბისა,
თვალთაგან ცრემლი ვარდება, მსგავსი ჩანჩქერის წყალისა,
სითბოს სიხარბე არჩია, გულსა სიცივე ქვაბისა,
ცხელია კაცის გულია, სითბოა კაცის დარდისა.

კაცის კაცობას ლოცავენ, აქებენ ხელსა კაცისა,
კაცის სახელსა იტყვიან, ფასსა ზომავენ სახლითა.
სახელი სახლის ტოლია, ფასი ვინა თქვა კაცისა,
კაცის სახელი გერჩივნოს, ფასი დიდია კვალისა.

სიცოცხლის ფასი დიდია, ხორცი ხარკია სულისა, კაცი
სიკეთით ფასდება, ფასი მალამო წყლულისა, სიკეთე
გულის სითბოა, მხარია დაჩაგრულისა, ცრემლი
დუღილი გულისა, მდუმარედ გადმოსულისა.

მოლხენა კაცისა

პაპამ მასწავლა სიმღერა, კაცმა მასწავლა მოლხენა,
იცოდა ხალხის ვარამი, გულსა უკლავდა მოწყენა,
ხალხის ხმა ყველგან ისმისო, შეგეძლოს მისი მოსმენა.
ათასგზის ნაფიქრს იტყოდა, ჰქონდა ზეკაცის მოთმენა.

გაშლილი სუფრა მადლია, მადლია სტუმრის მოწვევა,
სამადლობელსა უფლისა, ხატს ავედრებდა მოლხენას,
მერე ამბობდა ზვარისა, მარანსა ღვინის მოდენას,
ხარისა მადლი იცოდა, არა ჰკადრებდა მოცდენას.

ზვარი სახლია ხარისა, სუფრა მადლია კაცისა,
სტუმარი უფლის კაცია, წყალობა უფლის მაღლისა,
მასპინძელს ხარი დავარქვი, სტუმარსა მხარი სახლისა,
პაპას სტუმარი უყვარდა, სტუმარსა სუფრა პაპისა.

სუფრასა დიდი მადლია, სუფრასა ხორცი უფლისა,
სათქმელი საიდუმლოა, ზიარებაა მამისა,
სუფრაა ხარის ტრაპეზი, ღვინო სისხლია ვაზისა,
დალოცვა ხელის გულია, ნაოფლარია ხარისა.

სიცოცხლე დიდი ძღვენია, პური ხორცია კაცისა,
ხორუმი მგზავრი ზეცისა, სიმღერა მადლი მგზავრისა,
ცეკვა გაშლილი ხელია, გზას მიმავალი კაცისა,
ხელაპყრობილი ვედრება, ზე ასვლა უფლის ხარისა.

მოლხენა დიდი მადლია, გალობა ხმაა ზეცისა,
პური სარჩოა ხარისა, სუფრა ხორცია კაცისა,
სიმღერა ხმაა პაპისა, სამადლობელი უფლისა,
ხარისა ხარკი ზვარია, კაცისა მადლი სუფრისა.

პაპამ სიმღერა მასწავლა, მასწავლა მადლი სტუმრისა,
პაპა ტაძარსა გალობდა, ისმენდა ხმასა გულისა,
პაპამ მოლხენა იცოდა, იცოდა მადლი პურისა,
მადლიან სუფრას გაშლიდა, სამადლობელსა უფლისა.

სახლი ბაკოსა

ბაკოს სახლია პაპისა, ციხეს სასახლე მეფისა,
სახლი თავია სხალთისა, ციხე მთა არსიანისა,
ბაგულ სახელი ქალისა, ცოლი ყოფილა პაპისა,
სიძე რქმევია ვარამის, დიდი გაგელის გვარისა.

ციხე ნაქონი ხარისა, სახლია დიდი ტბელისა,
ციხის თავს მაღალი კოშკი, სასახლე თამარ მეფისა,
გალავანს ცხენის თავია, ცხენია დიდი პაპისა,
ბაკოსა სახლი ქალისა, სახლია პაპის ხარისა.

სახლსა გაგელის ქალია, ციხე სახლია მეფისა,
მთას დიადემა, გვირგვინი, სახელი თამარ ქალისა,
ბაკოს სასახლეს ცოლია, ქალი საფერი გვარისა,
ციხის პატრონი მეფეა, ბაგულ პატრონი სახლისა.

პაპა ხარია მეფისა, კაცი პატრონი ქალისა, ვერაგმა
ხელი დარია, შემუსრა ციხე ტბელისა, ციხისა
დარდი კმაროდა, დაერთო დარდი სახლისა,
ბაგულმა სახლი დაიხსნა, პატრონმა ციხე აზიდა.

გალავნის ხარჯი დიდია, ხარჯი საზომი მეფისა,
ვისურვე ციხის აგება, წაშლა მტარვალის ხელისა,
ექვსასი ოქრო დასჭირდა, შეკრება მცირის, ბევრისა,
ხარჯი ბეშქენმა გაიღო, პატრონმა ციხის ჩემისა.

ვერ გაიხარა მტერმაო

ხარმა სახელი დაიცვა, გადადგა გადასატანი,
ციხე დაიცვა მეფისა, დაიცვა მეფის დაბანი,
იცოდა ხალხი იტყოდა, თვითონ თქვა დონის კაბალით,
სხალთას სახელი დაარქვა, თურმე ხევია კაპანის.

ხიხანსა ხარის სახლია, მთის უკან ხარის ზურგია,
ციხე მეფისა ყოფილა, პაპას ხიდები უგია,
ხარფუხი იბერთა ზღვარი, ქარავანს ასე უვლია,
მთვარისა ყურეს გემები, ვაჭართა გამოუცვლიათ.

ძველი გზა სამჯერ გრძელია, ჩახრახი, დაუცველია,
ვაიო ქარავნის სადგომი, ტაოს გზა ბევრად გრძელია,
კლდესა აქლემი ვარდება, ვირები გზასა კვდებიან,
ვაჭართა ხარჯი დიდია, სამზღვარო დასადებია.

დაღმართი ბევრად ძნელია, ვირისა საზიდარია,
აქლემსა ტვირთი აჰკიდეს, ყორანსა გაუხარია,
დაბლა ჩაიფრენს ქარაფებს, პატრონს დარჩება ვალია,
ვირისა ტვირთის სიმცირე, ვირი იმ გზისა დარია.

პაპის სახელი დიდია, ქებათა ქება მინდება,
აქლემი გზასა ნავარდობს, ვაკეს ჯირითი სწყინდება,
ერთი კვირისა სავალსა.დღე ნახევარი სჭირდება,
ვაიოს ვაჭართა ქოხმახი, ბაკო სასახლეს ჰპირდება.

გზას ქარავანი არ წყდება, ვაჭართა დაცვა სჭირდება,
მიმავალს ციხე დაიცავს, მისვლა ვის გაუჭირდება?
ვერ მივა ქურდი მპარავი, გაიგოს გაუკვირდება,
ზეგანსა პაპის ციხეა, სხალთას სახელი, დიდება.

სახელი დიდი ხანისა

მონღოლთა დიდი სახელი, სახლად ჰაული ჰქონია,
პატრონი მცირე ჯოგისა, ბალღის თვალს გაუზომია,
პატარა ხალხის ბელადსა, ქვა სასთუმალად ჰქონია,
მომთაბარეთა თარეში, მოდგმითა გამოჰყოლია.

პატარა ტომი ანაზდად, სხვა ტომის ხალხსა ესხმოდა,
თუ იმარჯვებდა მომხვდური, ჯოგის პატრონი ხდებოდა,
დამარცხებული უჯოგოდ, სარჩოს გარეშე რჩებოდა,
ერჩივნა ეცნო მომხვდური, პატრონად ისა ჰყოლოდა.

პატარა ტომის ბელადი, თურმე პირველი კვდებოდა,
ტომი წინამძღოლს კარგავდა, ბრძოლა უმალვე წყდებოდა,
ჯოგი მომხვდურსა მიჰყავდა, კაცსა უფლება რჩებოდა,
ეცნო ახალი ბელადი, ეურჩა-გაეყრებოდა.

ვინცა ბელადსა არ სცნობდა, კაცი ცოცხალი რჩებოდა,
სხვა ტომსა მისვლას არჩევდა, სხვა ტომის მწყემსი ხდებოდა,
ტომის სახელსა იცავდა, ტომის ჰაულსა რჩებოდა,
სხვა ტომსა ჯოგსა წაჰგვრიდა, ჯოგის პატრონი ხდებოდა.

მონღოლთა წესი ცხოვრების, წესი წესადვე რჩებოდა,
მომხვდური ჯოგსა ართმევდა, მათი ბელადი კვდებოდა,
ახალ ბელადსა მისდევდა, სხვა ტომის თავსა ჯდებოდა,
სხვისა ბელადსა მოჰკლავდა, უფლება მისი ხდებოდა.

პატარა ტომის ბელადსა, პატარა ბიჭი ჰყოლია,
პატრონი დიდი ჯოგისა, კაცის სახელი ჰქონია,
სხვა ტომის ხალხსა მოუკლავს, ჯოგი სხვასა გადაჰყოლია,
ბიჭმა სხვა ტომი არჩია, იმ ხალხსა ბედი ჰქონია.

მწყემსი არჩია მონობას, ბელადის სახელს იცავდა, პატარა
კვიცი ჰყოლია, თურმე საფრენად სინჯავდა, გაზრდამდე
გზასა არჩევდა, ცხენი მტრის ბანაკს მიჰყავდა, შური იძია
მამისა, გაფრინდა, გაიქირდავა.

თურმე სხვა ტომსა დაესხა, კაცმა სახელი არჩია,
ჯოგი პატრონსა დარჩესო, პატრონი ომსა აწვია,
ხალხსა ალაფი ნადავლი, სახელმა ძალა ასწია,
ჰაულის პატარა ბიჭმა, ტომი ლეგენდად აქცია.

მზისა ამოსვლას ხვდებოდა, დასავლით ხალხსა ეძინა,
აღმოსავლეთი დაიპყრო, სახლს უნაგირი ერჩივნა,
კასპიას ჩრდილოს შუბი ჰკრა, ისარს დასავლით ეფრინა,
მძინარე რუსთა ხელმწიფე, სამასი წელი ეჭირა.

სამხრეთსა კაცი აწვია, პაპა ჰყოლია დესპანი,
სახელის ფასი ცოდნია, ზღვარი ყოფილა ისპანი,
კასპია ხელსა ჰქონია, პაპამ მოხატა ვარხანი,
ხანისა სახლი ჩრდილოსა, სამხრეთის სახლი ილხანი.

მერე რქმევია სახანო, ზღვარისა უსიგრძეგანო,
ცხენთა დათვლასა ცდილობდა, რემას ითვლიდა სახანო,
მამის სახელმა დაიწყო, ბათომ აქცია სახანოდ,
დიდმა იპოვა სახელი, დიდება უკიდეგანო.

სახელი ზანთა პაპისა

ზანთა სახელი დაიცვა, სახელმა ზანთა კაცისა,
იცავდა თავის წინაპარს, გზას წინაპარი მოდგმისა,
იცოდა სახლი დიდია, ველია ზღვათა შორისა,
მიწაა ორი ხარისა, ხმალი და ფარი ბრძოლისა.

კავკასიონი სახლია, სახლია ზანთა კაცისა,
კაცი სახლია პაპისა, საზომი ზანთა დროისა,
ასი იბერთა კაცია, ასაკი ზანთა გორისა,
ცი სიცოცხლეა მგზავრისა, ზეცასა ასვლას მდომისა.

კავკასიონი სახლია, ქედია პაპის ხარისა,
ჭაპანი თეთრი მთებია, ზურგი გზა გასაყარისა,
კოლხეთი ამირანია, მთა აზიდული მხარითა,
ზანთა დევია ამირან, კაცი სახლით და კარითა.

კასპია კაცის წყალია, პონტო წყალია ზაქისა,
კაცისა ზურგი მთებია, ხევები ჯაჭვი კაცისა,
მდინარე დროთა დინება, ზღვა საცავია დროისა,
ძეგლი უდრეკი სულისა, ფასი ამაყად დგომისა.

ზანთა სახელი დიდია, მანძილი ორი წყალია,
მთასა ხელია ქართლოსის, იბერთას მოუტანია.

ამბავი კოკის წყალისა

კოკა ოსტატის ხელია, კოკასა შიგან წყალია,
კოკის სამოსი თიხაა, წყალისა საზიდარია,
პატრონი მივა წყაროსა, მიწას ჰქონია თვალია,
წყარო ცრემლია მიწისა, ცრემლი მიწისა წყალია.

კაცი წყურვილსა მოიკლავს, კოკასა ავსებს წყალითა,
გზას წავა, კოკას წაიღებს, მიაქვს კაცისა მხარითა,
კაცის გზა ძნელად სავალი, ბევრად ძნელია კოკითა,
გზასა მზე დასწვავს, სწყურდება, სიცხესა დასძლევს წყალითა.

კოკასა მალვა წყურვილის, თიხა დამცავი წყალისა,
გზას წასაღები ტვირთია, სიმძიმე კაცის მხარისა,
კოკასა შიგან სიწმინდე, სიწმინდე მიწის თვალისა,
გზას მონადირის ისარი, დაცვაა ნება ძალისა.

მიწისა ცრემლი სუფთაა, წყალია წმინდა თვალისა,
კოკა ქალია კაცისა, წყალი სიწმინდე ქალისა,
კაცი პატრონი კოკისა, ზიდავს წყურვილსა წყალისა,
კაცი თიხასა დაიცავს, კაცსა სიწმინდე ქალისა.

ძველი ანდაზა გვასწავლის, სიბრძნესა კოკის წყალისა,
მიწისა ცრემლი სუფთაა, წმინდა წყალია თვალისა,
თუ კოკა გზასა გატყდება, დასწვავს წყურვილსა კაცისა,
კოკასა შიგან მარხია, სიწმინდე კაცის ქალისა.

ამბავი კაპის ხევისა

ბაკოს სახლია პაპისა, კვარის ტყეს ხევი კაპისა,
კაპი კაცია პირველი, პაპა კას ტაოს კარისა,
პაპის სახელი დაარქვა, პაპამა პაპის გორისა,
კაცი სიცოცხლის ხეს ერქვა, ხევი სიცოცხლეს ხარისა.

მთას ნაბოლარა ბალაა, კაცი თქვა დიდი ძალაა,
სიბნელეს კვარი დაარქვეს, კვარის ტყეს მისი ჭალაა,
კოჟრია ხარის კისერსა, ზაქია იმისთანაა,
მივა არაბეთს, ილხანსა, იმკის თაბორსა, რამანას.

არაბთა მეფის დიდება, სახელი მეფე თამარის, თუ
ზეცას გამოარჩევენ, მოვა მიწასა საფარი, ტბელი
რუსთველი ქარაგმა, გადარჩენაა მთავარი,
გზა დასაძლევი ზაქისა, ღარი მტკვარის და არაგვის.

მთა ფუნჯით მოხატულია, ფერითა ათასგვარისა,
ქალი ხელმწიფე, მიჯნური, მთა ყვავილის და ჯვარისა,
დედოფლის კაბის მოქარგვა, ზრუნვასა დაცვა ქალისა,
ათას მოყმესა განგმირავს, შუბი არწივის თვალისა.

ბაკოს თავს კაპის ხევია, ქარაგმას ხევის სახელი,
კვარის ტყეს მოყმის ქვაბია, ფურის ცრემლია ჩანჩქერი,
მოყმე მიჯნურსა დაეძებს, ჯვარი დაცვაა სახელის,
ხარის და ფურის სახლია, სახლი ძღვენის და სასჯელის.

ზახილი დაბის ზაქისა

დაბას ზახილის ხმა ისმის, ზახილი დაბის ხარისა, ზაქი
მოდგმასა დაეძებს, მოდგმასა ფალას გვარისა,
ცხრამუხლას გმირთა ლანდები, არგინეთს ფერვა ხმალისა,
აბაზაურსა ზახილი, ასურეთს გლოვა ტარისა..

თაპილას ხელი პილატეს, ქვაბის ძირამდე მიაღწევს,
კარითასს ხმაა ბაკურის, რომისა დაცვა მიანდვეს,
ალპებს ხმა ჰანიბალისა, ცდილობს რომის ზურგს მიადგეს,
ფარსმანი რომსა მისულა, ვით მეფეს ტახტი მიართვეს.

თვალი მრუდე და მახვილი, გახელილი და დახრილი,
სამყარო მოჩვენებაა, თვალისა გრძნობა დაცლილის,
მისვლამდე სპარსი მეგონა, დამაქცევარი ნამდვილი,
ახლოს მივედი, ვიხილე, ქართველი ფაფარაყრილი.

ჩემივე თვალმან მაცდუნა, ურწმუნო თვალის ფერებმა,
მელიქი მტრად მომაჩვენა, თვალს ნდობა ვითა ექნება,
ბრმათა თვალია უგულო, გზა შარას დაეხეტება,
თუ გულმა არ უპატრონა, სატანას გადაეყრება.

პილატეს ხელის დაბანა, დოქი და თასი რომისა,
სამსჯავრო ბრმათა მიანდო, ბრმა თვალსა ჯარსა მდგომისა.
პილატე ცოდვას გაექცა, იცოდა ძალა წყრომისა,
ღვთისმშობლის თვალსა უხილავს, თვალი ახლოს და შორისა.

შრატიანის ტბა

ორი სახელი კაცისა.ტბის მარცხნივ სურათი მგლოვიარე კაცისა. შორი მზერა ქარაგმა უცხო თვალისა.
სპარსელთათვის ქამარ მე-ლიქი, იგივე ქამარ ბეგი, სპარსული სამოსითა.
ახლო მზერა თვალი შინაურისა.სახე ქართველი თავადისა, ფალა ვარდანისძისა.ჯვარი გამყოფი სამოსისა.

ლექსი კაპანის ხარისა

მამა-პაპათა ადათი, პაპისა მოტანილია, ადათი
ვერ მოიტანა, ის ხალხი განწირულია, მამის
ადათი იცოდე, ძველთაგან დარჩენილია, მამა
ხიდია პაპისა, მდინარეს დადებულია.

ხიდის პატრონი წასულა, ახლა ხიდია მამისა,
მანამ ცოცხალი იქნება, რჩება პატრონი ხიდისა,
ხიდისა მოვლა ისწავლე, იცოდე წესი პაპისა,
სიცოცხლე წარმავალია, დრო მისდევს ჟამის სირბილსა.

კაცის სიცოცხლეს ცი ერქვა, სიცოცხლე ორად იყოფა,
მთელი სიცოცხლე მცირეა, ნახევარს რა დრო ეყოფა?
ნახევარია ძილისა, ნარჩენი ისევ იყოფა,
სიცოცხლე ბევრად მცირეა, არავის რჩება სამყოფად.

ცოცხალი კაცი ზანტია, არ იცის ფასი დროისა,
სიკვდილი შორსა ჰგონია, გაფლანგავს დროსა შრომისა,
კაცი ზის მიწა ტრიალებს, ახლოსა მოაქვს შორისა,
ბერდება, შრომას ინდომებს, დრო წასულია ბრძოლისა.

პაპისა სახლი დიდია, დიდი ხარია დაბისა, იცოდა
სიცოცხლის ფასი, ფასი იცოდა დროისა, კაცმა
ბოლომდე იღვაწა, ჰგავდა მეომარს ომისა, კაპანსა
დასცა სახელი, ახლა ხმა ისმის ბრძოლისა.

ცოცხალმა ხალხი დაიცვა, ვითა პატრონმა ხალხისა,
მოკვდა დატოვა სახელი, სახელი დიდი ხარისა,
რვაასი წელი იბრძოლა, სახელმა პაპის ხარისა,
ხალხმა სახელი დაიცვა, სახელმა სახლი ხალხისა.

მამა-პაპათა ადათი, ადათი ძველზე ძველია,
პაპამ იცოდა მამისგან, მამასა პაპის ხელია,
იცოდა პაპის სახელი, იცოდა სახლი ჩვენია,
ვით კაცი კაცსა იცავდა, ხმალი არ დაუწევია.

მიაქვს ჭაპანი ტოლისა

პატარა კაცის შვილი ვარ, კაცი ვარ დიდი მოდგმისა,
მამის სახლია პატარა, აკლია სითბო დედისა,
მამას ბუხარი უნთია, დრო დარჩენია ფიქრისა,
მარტოკა კაცის ფიქრები, ამბავი ძველი დროისა.

კაცსა უღელი მიჰქონდა, გატყდა უღელი ორისა,
კაპანს მეუღლე დაკარგა, მიაქვს ჭაპანი ტოლისა,
მამა ფიქრებსა წასულა, გზას მივა ძველი დროისა,
დედა ცოცხალი ჰგონია, ხარს ხედავს ხარის სწორისა,

მიდიან ძველი ხარები, მამა იმედი დედისა,
ხარი ხარისა ტოლია, ჭაპანი ხარის ბედისა,
მინდოდა მამა მენახა, მეთქვა ხარება ხარისა,
ვაცალე, ფიქრთან დავტოვე, ვაცალე წაშლა დროისა.

მამა პატარა ხარია, ხარი პატარა სოფლისა,
პაპის ჭაპანი იტვირთა, ჭაპანი პაპის ხარისა,
ხარსა უღელი გაუტყდა, წასვლა იგლოვა ტოლისა,
მამის ფიქრებსა ტოლია, დედა მხარია სწორისა.

ზვარსა მარტოკა ხარია, მესმის ზმუილი ხარისა,
მამა ხარია უთქმელი, სადგური ხარის დარდისა,
დრო მიჰქრის, ჟამი მიჰყვება, გზას მიაქვს ჟინი ბრძოლისა,
ხარი ბოლომდე ხარია, მიაქვს ჭაპანი ტოლისა.

იახილ

პირველად სიტყვა ყოფილა, სიტყვა პირველი კაცისა,
პირველად იყო ადამი, პირველი სიტყვა ზეცისა,
და პირველი იყო სიტყვა, და პირველი თქვა უფლისა,
ადამის მოდგმა დაიწყო, კაცი სახელი მოდგმისა.

კაპი პირველი კაცია, ჰევ სახელია ქალისა,
ზანთა კაბალა ინახავს, ამბავსა კაცის ხარისა,
ჰევის ნომერი ექვსია, ექვსი რიცხვია კაცისა,
შვიდი და სამი კაბალა, ერთად ასაკი კაცისა.

ცი სიცოცხლეა კაცისა, ცი საზომია დროისა,
კაცის სიცოცხლე საზომი, ცი ასაკია ზაქისა,
ცი საწყისია სიცოცხლის, ცი დრო მეორედ მოსვლისა,
პირველ სიტყვასა ცი ერქვა, დასასრულ ქვათა ცვენისა.

კაცის სახელი ასია, ასაკი ზანთა კაცისა,
ექვსი ცი ჰევის კაბალა, თარიღი კაცის ქალისა,
პირველი ქალის სახელი, სახლია ზანთა კაცისა,
პირველი კაცის ასაკი, სახლი პირველი ქალისა.

თასის ნომერი სამია, სამი კაცისა სახელი,
პირველი კაცი იაკობი, პირველი სამარიელი,
მეორე იოსების სახლი, ზანთა კაცია პირველი,
მესამე სახლი იახილ, პირველი კავკასიელი.

ხასი და თავი კაცისა

ხარისა ზნესა იტყვიან, ფასი ჰქონია ზნესაო, ზაქისა ფასი დიდია, ფასად იტყვიან ქერსაო, მესამედს კაცი წაიღებს, ზაქსა მიუთვლის ბევრსაო, იციან ფასი ზაქისა, ფასსა არქმევენ ხელსაო.

უფალი კაცსა მოავლენს, კაცსა ხელია უფლისა, თუ ხალხი მადლიერია, გაიგებს ფასსა ძღვენისა, კაცისა სახლსა დაიცავს, გაზრდის სახელსა კაცისა, კაცი პატრონი იქნება, გასწევს ჭაპანსა ზაქისა.

უფლისა ძალა დიდია, მოწყალე თავის ხალხისა, ხალხისა უმადურობა, დაკარგავს ფასსა კაცისა, ძღვენსა უფალი წაიღებს, წაიყვანს ზაქსა ზვარისა, ხალხი პატარა დარჩება, ყანა პატარა ხარისა.

მოდგმასა ხალხი ბევრია, ძველია მოდგმა კაცისა, მოდგმის სახელი წრთობაა, განსაცდელია მოდგმისა, ზოგჯერ მტერი ჰყავს ვერაგი, ხმალია ხერხი წრთობისა, სიმდიდრე დიდი წრთობაა, გამოცდა ხარბი გრძნობისა.

მოდგმის სახელი კაცია, მოდგმასა კაცის სახლია, კაცი მოდგმასა დაფასდა, მოდგმამ დაიცვა ძღვენია, კაცის სახელი გაზარდა, უფლისა მადლიერია, სახელი მოდგმას დაიცავს, სახელსა უფლის ხელია.

პაპის სახელი დიდია, დატოვა დიდი ზვარია, მოდგმა სახელმა დაიცვა, ზვარის საზომი ხარია, მოდგმა დაიცავს სახელსა, დარჩება უფლის ძღვენია, კაცის სახელსა დაკარგავს, ჭალას წაიღებს წყალია.

ქარ-თი

პირველი სამარიელი, პაპაა ზანთა კაცისა,
იოსები ეგვიპტელია, რჩეული შვილი მამისა,
იაკობი სახლის თავია, ათვლაა დასაბამისა,
ხურსა ზოსიმეს ხელია, ხმა მოძღვარისა და მი-სა.

ქართლოსი ზაქის ხელია, პაპა იბერთა მოდგმისა,
კაცის სახელი იახილ, კასპია სახლი სიტყვისა,
ია პირველი კაცია, ხილ-ი თქვა, პირმა იტვირთა,
მყინვარწვერს თავი თაკარა, ული სახლია ისიდას.

ქერი ზანების ფეტვია, ცერცვი მიწასა კაცისა,
ცერი კაცისა ხელია, ცივი ასაკი ხარისა,
ზვარი სახლია ზაქისა, მიწასა თესლი ქერისა,
პირი სიტყვაა კაცისა, პური პირობა მიწისა.

პური თესლია მიწასა, ზვარი სახელი ზაქისა,
ზაქი ვარ კაცსა უთქვია, ქერობა თესლი მიწასა,
კაცის პირობა გარჯაა, ური თესლია ქერისა,
ზვარსა პირია მიწისა, პური ფასია სიტყვისა.

ქარი ზანების პურია, თი მთაა ხეთთა მეფისა,
ქართველი პურის მთებია, ველი სიტყვაა მიწისა,

ზახილი ზანთა ხარისა

კასპიას სამი ზაქია, სამი ხარისა სახლია,
პირველი ზანთა კაცია, პირველი სახლი რანია,
მეორე ქვათა ტევრია, ხეთეების სახლი ხანია,
ჰანი-ბალ ლომი კარისა, იბერთა კაცი პანია.

პანთახი ზანთა ზღვარია, ჯვარი ფარსმანის მამისა,
თაგო სახლია ორისა, ქარაგმა გის და თარისა,
ჭანი ხარია მარტორქა, გი ზაქი ხეთთა გვარისა,
კოლხა ყვავილთა ყანაა, ყანა იბერთა ხარისა.

ლიხი, პანთახი-ხარფუხი, ცივი, კოლა და ჭანჭახი,
კასპია აღმოსავლეთი, დასავლით ზღვარი პან-თა-ხი,
რუ-მი ხეთების ტბას ერქვა, იბერთა ტბაა პან-ტა-ხი,
კასპია ზანთა წყალია, პასკია მთაა პა-თა-ხი.

პირველი ზანთა კაცია, პირველი სახლი იახილი,
სამი სახლია კაცისა, სახელი სახლის ძახილი,
მეორე სახლი ქართლოსი, დიდი პაპისა ვა-ხილი,
კახოსი პაპის ხელია, ესმოდა ზაქის ზახილი.

ამბავი ხეთთა ხიზანისა

ამბავი ხეთთა მეფისა, ხეთთა პირველი ხიზანი,
რამზესთან ბრძოლა სასტიკი, ხადეშმა მისცა ნიშანი,
მურსილის იქცა ძლეული, იცოდა მტერთა მიზანი,
ხეთთა მონობას ელოდა, ხეთმა არჩია ხიზანი.

მურსილის ზავი ითხოვა, პირველი ზავი ის არი, ბრძოლის
შეწყვეტა დაარქვა, დროის მოგება მიზანი, ჩრდილოთა
ზანთა ხელმწიფეს, ბარბაროსთა ჰკრეს ისარი, ხეთთა
სამეფო ალყასა, ზანთა მიწასა ხიზანი.

პირველი ზავი დაიდო, დასრულდა ხეთთა ზეობა,
ექვსასი წელი სახელი, რამზესსა სურდა მონობა,
მურსილის გაცლა არჩია, კაცმა არჩია ქველობა,
ეგვიპტე მონას ელოდა, მორჩილთა მონაცვლეობას.

მეხისი ხეთთა სახლია, მიწაა ზანთა ხარისა,
ხიზანი ხარის ხელია, ანი სახლია მთვარისა,
სახელი მოსვლის თარიღი, მეხ სახლი ხეთთა კაცისა,
ხათუსილია პირველი, სახელი ხეთთა მეფისა.

ეგვიპტის-ხეთთა პირობა, დასაბამია ზავისა,
ერთი ცი კიდევ ყოფილა, სამეფო ხეთთა კაცისა,
ქრისტემდე ათას ორასი, ასაკი მაცხოვარისა,
თარიღი პაპის კაბალა, სახლია ზანთა ხარისა.

ხმა მეხურისა

კა-სა კაცის ხმა დავარქვი, ხმა ზახილია პაპისა, მე
ხმაა ზანთა მთებისა, ხმა ისმის თავსა ხევისა, კის
ხმაა პაპის ზაქისა, ხარსა ხმა ესმის მთვარისა,
ლის კივილია ხარისა, ბოხი ხმა ზაქის ხარისა.

მირ-ზღვის ტალღას დავარქვი, მირ-ი ხმა არის წყალისა,
ხი სახელია ხარისა, ხმაა მთავარი ზარისა,
ცი სიცოცხლეა კაცისა, ხმა ზეციური ხარისა,
ცი ზახილია მიწისა, ცასა ხმა ისმის მეხისა.

დარ-ი სიკვდილის ხმას ჰქვია, ბოლო სახლია კაცისა,
ხმა სიკვდილისა დიდია, ხმა ზახილია მგზავრისა,
დარ-ცი სახლია მგზავრისა, ხმა ისმის ორი ხარისა,
სიკვდილი ზაქის ხარია, ცი ხმა პატარა ხარისა.

კაცის ხმა კაცის სიცოცხლე, რვა ხმა სახლია მიწასა,
კაცისა სახლი ათია, ორი სახლია ზეცასა,
ცივის ხმა ორი სახლია, სამოთხეს ხმაა უფლისა,
ცივი ხმა ხარის კივილი, ცივი ხმა ცოდვის სახლისა.

საგალობელი პაპისა

მამაო.. ჩვენო... ცოდვილსა, მავედრებელსა... უფლისა,
მომმადლე... შენსა უძღებსა... წყალობა ... შენი ხელისა,
მოვედი... სახლსა უფლისა, სახლსა ცოდვილთა... დგომისა,
ვცოდე და... ვცოდე უფალო, გავეცი... სიტყვა... მოძმისა.

ცოდვა... მამძიმებს ცოდვილსა, ცოდვა... დიდია... მონისა,
დავეცი... ხორცმა... დამძლია, ხორცი... წყურვილმა... ცოდვისა,
თვალნი... სიხარბემ წამართვა, გონი... სისუსტემ ხორცისა,
ვიცი... უღირსი... შვილი... ვარ, გვედრებ წყალობას შენისა.

მამაო... ჩვენო... ვინანე, დამინდე... მონა... მამისა.
მოვინანიე... უფალო, ცოდვანი... შვილმა... მამისა.

ზახილი ზანთა მიწისა

მესხმა თქვა მესხის სათქმელი, მესხმა დაიცვა სახელი,
ხეთთა დიდება მიამბო, გულით თქვა საგალობელი,
იცავდა ზანთა მიწასა, ცოდნია პაპის სახელი,
მოდგმამ ქართლოსი დაარქვა, მამამ უწოდა იახელი.

ცოდნია ზანთა ამბავი, მესხსა, პატრონსა მოდგმისა,
ხეთეების მოსვლა ცოდნია, ამბავი ხეთთა ბრძოლისა,
ცოდნია ძველი კაბალა, ზარდახშა ძველი ცოდნისა,
მიწის ყივილი ესმოდა, დარაჯსა პაპის ხსოვნისა.

ოთხიათასი წელია, ხარი იცავდა მიწასა,
მესი ზანების პაპასა, ხეთა სახელსა წინასა,
პაპისა სიბრძნე გადარჩა, თვალი აქვს პაპის ბინასა,
მესხი სულითა უდრეკი, ზაქი ბრუნდება შინასა.

პაპა მეგზური იქნება, მივა პაპისა მიწასა,
იბერთა სახელს დაიცავს, დაიცავს ხეთთა ბინასა,
მოძებნის ხეთთა საცხოვრისს, რვალსა გაურევს რკინასა,
ზაქისა ხარსა იპოვის, ჯვარს გაუძღვება წინასა.

მთასა ხერისა

პირველი ზანთა სახლია, ზანთა ზეგანი ხანია,
სახლსა ხიზანი ხეთია, ხეთების სახლი ხერია,
ჰანი იბერთა ზაქია, ორის ნაზავი ერია,
ივერი ზაქის ხელია, ქორონიკონსა სწერია.

ზანი სახლია მთვარისა, ხმა ზეციური ხარისა,
ხერი ხეთების ხარია, ერი სახლია ხალხისა,
იბერთა სახლი ძველია, ხელია ორი ხარისა,
ირ-ი იბერთა კალათა, ბერი სახელი ძველისა.

ბერი გარსია ქვევრისა, ნაზელი კაცის ხელისა,
ირ-ის კაბალა ხე იყო, რიცხვი ნიშანი თავ-ისა,
ირ-ი ქვევრისა თავია, თავია ორი ხარისა,
გზა კაბალისა ირია, ბრუნვა ნიშანი წერისა.

ვერი იბერის ხელია, იბერთა დიდი ბერია, რიგით
მეექვსე ნიშანი, ადამის სახლი ვერია, ივერი
იბერთ ერია, სახლი ათასი წელია, ჩხავერი
ვაზის სახლია, კაბალა კ-ვერ-ი ძველია.

ვერ-ხ-ვი ხე-ლია კაცისა, ხე სიცოცხლისა გრძელია,
ზახილი ზეცის სიტყვაა, იბერთა სიტყვა ძელია,
ხე ნიშანია თავისა, დიდი ბაკურის ხელია,
ვერ-ი ადამი, ვი-ხარი, სახელი ზაქის ხელია.

ვერ-ანი ორი სახლია, სახლი კაცის და მთვარისა,
ვერ-ნე-ბი პაპის ხელია, ხელი იბერთა ხარისა,
კაცის მარჯვენა ხელია, ხელი ზახილი ზარისა,
ივერი-ძველი იბერი, ბერას მთა სახლი ჯვარისა.

ხერ-თ-ვი-სი შესართავია, შერევა ორი წყალისა,
ხერთვისი ორი სახლია, სახლია ორი ხარისა,
ხერ-ი ხეთების მთას ერქვა, თა მთაა ორი ხალხისა,
სი სახლი ზანთა კაცისა, ხერ-ი პატარა ხარისა.

ს-ხალ-თა პოეტის ხელია, ხევი ხარისა სახლია,
ხილ-სი სახლია სიტყვისა, კაბალას ხუთი ხარია,
ხალ-ი მეოთხე სახლია, დაბა ხევისა კარია,
ხი-ხანი სახლი მეხუთე , ხიხანი ხევის თავია.

მთასა პატარა სახლია

მთასა პატარა სახლია, სახლი ნაგები კვარითა,
სახლსა ბუხარი ანთია, სარკმელსა შუქი მთვარისა,
პატრონი კვარის სახლისა, კაცია დიდი გვარისა,
სანთელი მუდამ ანთია, სინათლე კაცის თვალისა.

პატარა სახლი კვარისა, სახლია დიდი ზაქისა,
ქართველი ეპისკოპოსი, კაცი ქართველთა მეფისა,
თაფლის ფიჭისა სურნელი, ერთვის სურნელი კვარისა,
პატარა სახლსა ფუტკარი, ფურტაელ ხარი დაბისა.

კაბალა ქორონიკონის, ქართული წიგნის სახლია,
მწიგნობრობაჲ ქართული, პატარა სახლსა მარხია,
დაბადებულა დაბასა, დავითმა უძღვნა ვარძია,
ქება-დიდება პაპისა, ხელსა ინახავს ტან-ძია.

კაპანი კაცის სახლია, სხალთა სახლია მთვარისა,
მწიგნობრობაჲ ქართულთა, ხელი ფურტაელ ხარისა,
ხიხანის ზაქმა იპოვა, წიგნი წმინდანთა სწორისა,
ვეფხისა ტყავსა დამალა, ზოსიმე ხელმა პაპისა.

მამა იოვანე მცველია, მოციქულისა თავისა,
საგანძურს განძი პირველი, წიგნი ქართველთა პაპისა,
ხიხანი ხევის თაღია, კაბალა ხიდი ზეცისა,
მიდიან ლაბა, წიქარა, ხარები ზანთა მთებისა.

ხიხანი ზანთა ზღვარია, ციხე მცველია კარისა,
პანთახი მთაა ხარფუხი, რუს-თავი სახლი ხარისა,
ხიხანი არსიანია, ქედი გზებია მგზავრისა,
ხირხატსა დილა აისი, დაისი სახლსა მთვარისა.

ხმა მეხისა

კაცის ზახილი სულია, ცი მოძახილი მიწისა,
მიწის ხმა, მიწის ყივილი, დაბალი ხმაა ბარისა,
მეხი ზეცისა ხარია, ხმა ზეციური ხარისა,
ზეცისა თვალი ელვაა, ქუხილი ხმაა ზეცისა.

მიწა სახლია კაცისა, სახლი სადგური მგზავრისა,
სახლის ხმა კაცის სიტყვაა, ხმა პირობაა სახლისა,
მიწასა პაპის ზახილი, გუგუნი ზარზმისა ზარისა,
ხმა ზახილია ჯვარისა, წმინდა მთას მისატანისა.

დაუკოდიათ ბოკვერი

მყინვარწვერსა დგას ქართლოსი, თვალი მთვლემარე, დაღლილი,
დაჰყურებს ზანთა ზეგანსა, ჯიქთა მდევარი იახილი,
ომგადახდილი უდრეკი, მოყმეთა ხმობა, ძახილი,
მთასა დგას მთავარსარდალი, ბაბილონს ხეთთა აჩრდილი.

ბებერი ძარღვი მყინვარის, გზას სისხლი ჩამომდინარი,
მუხლები გათოშილია, მთას მიყრდნობია მდუმარი,
ამირან ხელი მომეცი, მარქვი მოსული სტუმარი,
ვერაგსა დავსცემ მახვილსა, სამოყვროს გავშლი პურ-მარილს.

ზეგანსა ხმაა კივილის, ვერვინ თქვას ხარის ჩივილი,
დაუკოდიათ ბოკვერი, მუხლს დაჩოქილა ტკივილით.

ფასი პატარა ხარისა

მიწასა ხალხის სახლია, ხალხისა ფასი ხარია, ხალხის
სიმრავლეს აქებენ, ფასი ფხიზელი თვალია, ბრმათა
სიმრავლე ვით ვაქო, ნახირს მიუძღვის ვაცია, ნახირსა
მწყემსი აკლია, ხალხსა აკლია კაცია.

ნახირი ვაცსა მიჰყვება, ბრმასა აკლია თვალია,
მთასა ბევრია ჭალანი, კლდესა აირჩევს ვაცია,
კლდის თავსა ეკალ-ბარდია, წველა ჭალისა ფასია,
მივა ქარაფსა დადგება, ნახირის თავი ვაცია.

ქარაფი ხარკსა წაიღებს, ხარკი ნახირის ფასია,
ნახირი ბრმათა ჯოგია, თვალსა სიბრმავე არჩია,
თხისა გზა კლდისა თავია, კლდესა ქარაფი, ხრამია,
ფასსა ნახირი გაიღებს, ხარკი ნახირის ფასია.

სოფელსა ხალხი ბევრია, ხალხისა ფასი თვალია,
ხალხი სიბრმავეს აირჩევს, წინ გაუძღვება ვაცია,
სინათლე კაცის თვალია, ჭალასა მივა ხარია,
ხარი ფასია ხალხისა, გზასა დარჩება კვალია.

ხალხის სიმცირე სჯობია, ნახირსა ვაცის ძღოლასა,
ბრმათა ჯარს კაცი არჩიე, კაცი მოიგებს ბრძოლასა.

სახლი ტყის პირსა

ტყის პირსა სახლი ყოფილა, პატარა სახლი მდელოსა,
პატარა ეზო ჰქონია, ეზოსა ბაღი შვენოდა,
პატარა ბაღსა ფუტკარი, სკასა ნექტარი შველოდა,
ხარისა ზვარი ჰქონია, კაცი სიცოცხლით ტკბებოდა.

კაცი გარჯითა იცნობა, ზვარსა ხარისა მადლია,
სახლსა სახელი კაცისა, ბაღსა ფუტკარი კარგია,
თაფლსა ფუტკარი მოიტანს, ხეხილი ჩირად ვარგია,
ხარისა ღვაწლი პურია, სუფრას სტუმარი მადლია..

კაცი სახლისა ფუტკარი, მტერი მოშურნის თვალია,
ტყესა დათვია პატრონი, სიხარბით მუდამ აკლია,
მოცვი და კენკრა ჰქონია, ხორცი ირემი, ტახია,
ტყესა ფუტკარი ყოფილა, ბაღის მოუნდა თაფლია.

სახლის პატრონი კაცია, ტყე ვერაგისა სახლია,
ტყე დაბურული ბნელია, ტყესა დათვისა თვალია,
მივა ტყის პირსა დადგება, სახლსა დაიცავს კაცია,
სიბნელე გზასა გაუხსნის, ქურდი, ვერაგი დათვია.

მსუნაგი სკასა დააქცევს, ბევრი მოხვდება ისარი,
თაფლი მსუნაგსა ახელებს.აგიჟებს მცველთა ისარი,
ახალ საკბილოს დაეძებს, გიჟსა უჩნდება მიზანი,
პატარა ხარი მდელოსა, დათვის სამიზნე ის არი.

გიჟი დაღლილსა დაკოდავს, ვერაგის კერძი ხარია,
დათვი ზომითა დიდია, ზაქი არა ჰყავს მხარია,
ხმასა ქოფაკი გაიგებს, ძაღლი კაცისა თვალია,
დაკოდილ ხარსა დატოვებს, დათვი კაცის წინ მხდალია.

დათვსა სინათლე აშინებს, ბნელის გონება ტორია,
ტყის განაპირა სახლია, მდელო დათვისა ჰგონია,
კაცი პატრონი ზვარისა, უცხო სტუმარი ჰგონია,
ღამესა სკასა დააქცევს, თაფლისთვის ჰყოფნის გონია.

ხარი ხელია კაცისა, ხელსა პატრონი სჭირდება,
დათვი მტერია კაცისა, კაცი საზღაურს ჰპირდება,
კაცს ქალამანი აცვია, ქალამანს ტყავი სჭირდება,
დათვსა კაცისა ვალი აქვს, ვალი ტყავითა მცირდება.

უღრანი დათვის სახლია, სახლის პატრონი დიდია,
ტყესა სინათლე აკლია, უღრანსა მხეცნი მიდიან,
პანტა პატრონის ყოფილა, თურმე პანტასა გიჟია,
გიჟსა სინათლე აშინებს, გიჟები ტყავსა ჰყიდიან.

მთა პანთახისა

სხალთა წმინდანთა სახლია, დაბასა სახლი კვარისა,
დაბასა კაცის ხელია, მადლი მდუმარე ბერისა,
დაბა ქართულის სახლია, სახლი ასის და ელისა,
ორმოცდაორი ნიშანი, ანბანი შავი ბერისა,

ქართული ზაქის ხელია, სახლია დიდი მეფისა,
პირველი ასომთავრული, ხელია დიდი ბერისა,
იბერთა დიდი ხარია, მოდგმაა ორი ერისა,
წერილი ლომის სახლია, ლიხი სახლია ხერისა.

ზანთა წერილი ხილსია, ცივი სახლია ხარისა,
ზაქი ზანების ხარია, პატარა ხეთთა ერისა,
კაბალა სამალავია, სიტყვაა ზანთა ბრძენისა,
სიტყვა საცავმა დაიცვა, ვერ მისწვდა თვალი მტერისა.

პეტრე იბერის სახელი, დაიცვა ხარმა ზაქისა,
მოძღვარის სიტყვა იპოვა, ქარაგმა დიდი ბრძენისა,
ბერძენთა ეპისკოპოსი, წიგნი ელინთა ენისა,
პი მუდმივაა უცვლელი, იოტა სამარხი ბერისა.

იბერის ფასი დიდია, წმინდანი დიდი ერისა,
ანდერძი სიტყვა კაზმული, იცოდა ფასი წერისა,
იბერთა მისვლას ელოდა, ელოდა ხელსა ბერისა,
წმინდანთა ტოლმა იპოვა, ლოცვაა მადლიერისა.

იბერთა ყიჟინა

პასკიას ხარის სამარე, კასპიას სახლი კაცისა,
მოდის იბერთა მხედრობა, მივა სადგურსა ხარისა,
იცის ქართლოსის სახელი, იცის სამარე პაპისა,
მუხლი მიწასა ემთხვევა, იტყვის დიდებას უფლისა.

კაცისა სიტყვას იტყვიან, წელსა არტყიათ მახვილი, მიწასა
დაცვა სჭირდება, დაცვასა გმირი ნამდვილი, ქართლოსი
ჯარსა დალოცავს, მოდგმასა ლოცავს იახილი, მიწა
იბერთა სისხლია, მხედრობა სისხლის ზახილი.

მთასა ხარფუხისა

მაღალ მთას ხარის სახლია, ხიხანს სახლია პაპისა,
ელი სახლია კაცისა, ელი თვალია ზეცისა,
ზეცისა სიტყვა ელვაა, ხილსი სიტყვაა კაცისა,
დაბასა ხარის სახლია, მაღალმთა თავი ხარისა.

არსიანის მთა ღარია, ღარი ზღვარია სახლისა,
აღმოსავლეთი ზეგანი, სახლი იბერთა ხარისა,
დასავლით ყანა ყვავილთა, სახლია ხარის ფურისა,
ხიხანსა კაცის სახლია, მთასა ციხეა კაცისა.

რუ ხეთებისა წყალია, ური ხეთების ბარია,
თა ხეთებისა მთას ერქვა, მთასა ბარისა თავია,
მდინარე ხევის ხარია, ქედი გამყოფი ზღვარია,
რუს წყალი იბერთ მიწასა, ური კოლხების წყალია.

რუსთველი პაპის ხელია, მთისა პატრონი ხარია,
აღმოსავლეთის მდინარე, იბერთა ხარი მტკვარია,
დასავლით ფურის სახლია, ფასისი ფურის წყალია,
პაპა ზაქია ხარისა, ურსა დაბელი ხარია.

ზახილი ხვადის დედისა

ლომი ნადირთა მეფეა, ხვადი ბოკვერი ლომისა, ტყესა
ნადირთა სახლია, ხროვას წყურვილი ომისა, ნადირთა
მტერი შიმშილი, შიშია წყრომა მგელისა, ხორცი
სიცოცხლის ფასია, ხორცი მიზეზი ბრძოლისა.

ლომი მგელზედა დიდია, საკბილო ლომის საზომი,
მგელი კურდღელსა იკმარებს, სორო მელიას სადგომი,
მელიას თაგვი აპურებს, ტურას ლეშისა ნარჩენი,
მგელი ირემსა დაკოდავს, დათვი წაიღებს დაკბენილს.

ნადირთა მეფე ლომია, ტყესა ლომისა რიდია, აფთარსა
ხროვა სჭირდება, ხროვა ლომზედა დიდია, ლომი
აფთარსა მოაშთობს, ცოცხალნი ხროვად მიდიან, ხვადი
ალყასა ექცევა, სიცოცხლე ბეწვსა ჰკიდია.

ლომის მოკლული აფთარი, მძორი იხრწნება ჭალასა,
ეშვითა მტერსა მოახრჩობს, აღარ დახარჯავს ძალასა,
თუ ხროვამ ხვადი დასძლია, დაგლეჯს, დაფანტავს შარასა,
მგელი კარავსა მივიდეს, დაკბენს, დაფარჩავს ფარასა.

ნადირთა შიში შიმშილი, ტყესა ბრძოლისა ველია,
შიმშილი ართმევს ძალასა, სასტიკი შიშის ხელია,
ათასი წელი იბრძვიან, დიდი პატარას მტერია,
ტყესა აფთარი ბევრია, ლომი გადარჩეს ძნელია.

ლომი საფარსა დარჩება, მეფე დაზოგავს ძალასა,
მსხვერპლსა ახლოსა მოუშვებს, ანაზდად ტოვებს საფარსა,
ნადირსა ეშვით მოახრჩობს, მერე დაიწყებს ჭამასა,
დათვი, მგელი და აფთარი, ვერასდროს იგებს ამასა.

ხვადისა დედა ლომია, ძნელია გაზრდა ლომისა,
გაზრდილი ბრძოლას ერთვება, ხვადი გმირია ბრძოლისა,
ხვადი ცხოველთა მეფეა, ძუ ლომსა დარდი დედისა,
მოკვდება ვერ დაიტირებს, იგლოვებს კვალსა ტორისა.

ტყესა აფთარი ბევრია, ხროვა ლომისა მჯობნია,
ხროვა მკალია ბრძოლისა, ლეში საკვები ჰგონია,
ლომი ირემსა დაეძებს, ლეში აფთრისა ხვედრია,
ლომის სიკვდილი არჩიე, ლეშისა ჭამას სჯობია.

თუ ბედი ლეშსა გარგუნებს, შენ პირი შემოაბრუნე.

ზახილი ზანთა კაცისა

რანი სახლია ზანისა, ხალი რჩეული ხალხისა,
პანთახი პაპის სახლია, ხისი სახლია ხარისა,
მთასა ზამთარი ცივია, ცივი სახელი სახლისა,
ხილსი სიტყვისა სახლია, ცივია ორი ხალხისა.

პირველი სახლი ალია, მეექვსე იქცა ანისა, პირველი
სახლით დაიწყო, ბოლოა სახლი კაცისა, დასაწყისს
ცივი ყოფილა, ზღვარი ყოფილა თა ხისა, ციოდა,
კაცსა ელოდა, დადგა დრო თბილი სახლისა.

ბაკური კარსა მისულა, სარდალი დიდი რომისა,
პარსი პირველი სახლია, სახლი იბერთა ხარისა,
პირველი წიგნი იბერთა, დაიცვა ხელი კაცისა,
დიდმა ბაკურმა იპოვა, ნაღვაწი ზანთა პაპისა.

კაცსა ცოდნია ამბავი, სახლი პირველი პაპისა,
ანბანის სახლი ცოდნია, ფასი პაპისა სიტყვისა,
ხილსი პირველი სახელი, გახდა სახელი ხისისა,
ზანთა კაბალა დაიცვა, ცი-ხის აქცია ცივისა.

მოსულა დიდი იბერი, დიდება წმინდა მიწისა,
პალიას დაბადებულა, შვილია ხეთთა შვილისა,
დიონოსია ბრძენ კაცი, სახლი ბერძენთა გმირისა,
ასომთავრული ხელია, წმინდა ბასილი დიდისა.

კაცი ვახტანგის ხარია, ფარი იბერთა გმირისა,
პართიას დაბადებულა, მისულა მთასა ლიხისა,
დარიალის კარს გავიდა, მოდრიკა ხალხი რკინისა,
სახელი ბრძენის ხელია, მეფის კველია თბილისსა.

გასულა ინდიქტიონი, ასაკი სამი ზაქისა,
დავითი დაბადებულა, ბაგრატოვანთა გვარისა,
ლიხის ქედს სახლი უცვნია, დარუბანდს კარი სახლისა,
დაბასა ზაქი ჰყოლია, ხარი ვახტანგის ხარისა.

მეფე დავითი უქიათ, კაცსა სახელი ხმალისა, დავითი
დიდგორს იგებდა, ესმოდა გორგასალისა, კაცი
ანბანსა კვეთავდა, კვეთდა ნიშანსა დაბისა, დავითის
სახელს არქმევდა, ზანავსა სახლსა ქვაბისა.

დასრულდა ზანთა კაბალა, სადგური მთასა ღარისა,
ხართასა კაცის კაბალა, დაბასა ხარი ბარისა,
ძველი კაბალა ზაქია, სახლია ხუთი ხარისა,
ზანთა მზის სახლით დაიწყო, მივიდა სახლსა მთვარისა.

რანი ზანების სახლია, სახლი პირველი კაცისა,
ხიხანი კაცის სახლია, სახლია დიდი პაპისა.

თაპილას ტბასა

ხარმა თქვა ხილვა კაცისა, მორიდებია გამხელას,
სათქმელი დაუმალნია, ტბასა მისულა სათქმელად,
მიუყვანია ხარები, ხატვა უთქვია სახელად,
დაღლილსა ჩასძინებია, არქვა მიხუჭვა, გახელა.

ცოდნია მთისა სახელი, ცოდნია მადლი მიწისა,
ხარები უღელს ყოფილა, მარხილსა ქვანი რიყისა,
„მოხუცმა ჩხრეკა დავიწყე, ვერჩი ძალასა მუხლისა,
მანამ ხარია უღელსა, მილულვა მინდა თვალისა“.

თურმე მოხუცსა უხილავს, მთასა მისულა წმინდანი,
ვერ იჯერებდა სიზმარსა, წმინდანის ღირსი ვინ არი?
თურმე ნათქვამი ახსოვდა, მიხვდა აზრი და მიზანი,
პილატეს ხატვა სდომია, დღემდე პილატე იქ არი.

ღვთისმშობელს უბრძანებია: ვიცი მოსულხარ კაციო,
ვიცი დახატავ პილატეს, ტბასა იქნება თასიო,
პილატე ხელსა დაიბანს, ცოდვა დარჩება წყალშიო,
გგონია ხალხმა გაწირა, დაიდვა ცოდვის ფასიო.

ვიცი იუდა გგონია, აწამეს მისი ბრალია,
ოცდაათ ვერცხლად გაყიდა, არა ჰქონია თვალია,
კონსული ბრძენი გგონია, კაიაფა უზის მხდალია,
პილატეს ხელი ერია, ნაბანი წყალი დალია.

კაცმა იცოდა ამბავი, იცოდა ხალხი ხარბია,
ბრმათა ჯოგია ფარისა, ორმოს უვლიან, დარბიან,
მესია ვერ დაიჯერა: თქვა დაისაჯოს, კარგია,
პილატეს თასი გაივსო, ხალხმა ბარაბა არჩია.

რომის ხელია პილატე, კონსული რომის კაცია, იცოდა
რომი ითხოვდა, იცოდა მიჰყვა ხალხია, იუდეველთა
მოძღვარი, მაცხოვრის მკვლელად აქცია, ოცდაათ
ვერცხლად გაყიდა, იუდა დარჩა ხარბია.

იცოდე მისი ხელია, რომის სახელი გაისმა,
ნაბანი წყალი დატოვა, ბრძოლის ველიდან გაიქცა,
იცოდა ხალხი იტყოდა, ვითომ ის ხალხი დაიცვა,
რომის სახელით დასაჯა, მოწყალეს კაბა ჩაიცვა.

მინდა დახატო პილატე, ქვაბსა იწვოდეს ურჩხული,
მდუღარი წყალსა ითხოვდეს, გარეთ იწევდეს გართხმული,
ცეცხლის ენები დახატე, ხახასა ჰქონდეს ჩანთქმული,
გველისა გესლი დიოდეს, კისრამდე ბილწსა შთანთქმული.

დაუხატია პილატე, ცოდვისა დიდი სადგური,
ზამთარსა ქვაბი ივსება, სიცხის ქარაგმა, ზაფხული,
ათასი წელი ყოფილა, თაპილას ტბასა ჩაფლული,
კაიაფა ქვაბსა დარაჯობს, ოცდაათ ვერცხლსა ნატრული.

მეფისა ქალი ვარჩიე

ბოკელას თავსა ხრამია, ციხეს ზის მეფის ქალია,
ხრამსა ვერ გავალ ტიალსა, მარტო დარჩება, ბრალია,
ციხის თავს დიდი კლდენია, დაბლა დაშვება ძნელია,
მეფისა ქალი დავძლიე, ხრამი ვერ დამიძლევია.

ნატვრა პატარა კაცისა

პატარა კაცის ნატვრასა, პატარა ხარი ამბობდა,
პატარა ყანის პატრონსა, პატარა სახლი ამკობდა,
დილას ამინდსა ელოდა, საღამოს ბალღსა ართობდა,
კვირამდე ყანას სწყალობდა, კვირას ტაძარსა გალობდა.

პატარა ტვირთი მიჰქონდა, პატარა გზასა არჩევდა,
დიდი ამბავი ესმოდა, პატარა სახელს არქმევდა,
მზისა ამოსვლა ჩასვლასა, პატარა სარკმლით არკვევდა,
დიდ ცოდვას ერიდებოდა, პატარა ზომა აკრთობდა.

მთასა პატარა ტბებია, კაცს დასახრჩობად ეყოფა,
ზღვასა ბევრია დამხრჩვალი, თურმე დიდ წყალსა ელოდა,
ტბასა და ზღვასა დამხრჩვალსა, ყველას ცხედარი ეწოდა,
ტბასა დამხრჩვალი დამარხეს, ზღვა ცხედარს ვერ ელეოდა.

სიმღერა ზარისა

სახატეს ხატი აკლია, სულის სიმტკიცე რწმენასა,
სიცოცხლე გადარჩენილა, ჰგავს ხორციელთა გვემასა,
წაშლილა ხევის სახელი, განშორებია ზენასა,
კაცისა ფუძე მოშლილა, ხარი აკლია ზეგანსა.

უცხოთა კვალსა მისდევენ, დაკარგეს ნატერფალია,
პაპის ზახილი ვის ესმის. ფუძესა უცხო კველია,
ახალ სალოცავს აგებენ, მიწას მარხია ძველია.
რას მოიმკიან ვინ იცის, თესლი უცხოთა ხელია.

ზვარი ფერდობსა ისვენებს, დაკარგა მადლი პურისა,
პატარა ხარი ჩეროსა, ზაქსა სახელი მდგმურისა,
პაპის სახელი ვინ იცის, ნაღვაწი დაკარგულისა,
ხევსა სასახლე აკლია, ხორცსა სიმტკიცე სულისა.

რწმენა დიდისა ხვედრია, პატარა კაცი ბალღია, პაპისა
კვალი წაშალეს, უცხოთა მისდევს ძაღლია, წმინდა მთას
წყლული გახსნია, ხიხანსა ძარღვი ატყვია, სამრეკლო
დაქცეულია, ხარი ხარის თას მარხია.

ზაქის ზახილი მოისმის, ადგილსა ბერას ჯვარისა,
კაცი იპოვის ნატერფალს, ხარი ხარისა გვარისა,
დასავლით ფურის სახლია, კასპიას ხმაა მტკვარისა,
სათახვეს კაცის სახელი, რამანას სახლი ხარისა.

მე წავალ, ლექსი დარჩება

წარმავალია სიცოცხლე, სოფელი, წარმავალია,
კაცსა ჰგონია ადრეა, ჰგონია სხვისი ჯერია,
იცდის, გადადებს საქმესა, იტყვის ხვალისა ჩემია,
დღეს დასვენება ვარჩიე, გუშინ არ დამისვენია.

ვინ იცის ბოლო სადგური, მანძილი ახლო, შორია,
გზასა გავლილსა ზომავენ, დარჩენილს ვინ მოერია?,
კაცი სადგურსა ვერ ხედავს, არ იცის, შორი ჰგონია,
სიცოცხლე დროებითია, გზა დასასრულის სწორია.

გზასა ხანდახან ისვენებს, ძილი კურნება დაღლისა,
სიცოცხლე კაცის ხორცია, ხორცი გზასა დგას მგზავრისა,
გამოიღვძებს მიხვდება, გასულა დღენი ბალღისა,
სიყმაწვილესა იხსენებს, ახსოვს დრო შუა ხანისა.

სამრეკლოს ზარი კიდია, ელის მისვლასა კაცისა,
მოვა დრო ზარი ჩამოჰკრავს, დადგება ჟამი წასვლისა,
სიცოცხლის შემოდგომასა, დრო დგება ღვაწლის მომკისა,
თუ უღვაწია მოიმკის, საგზალსა გზასა ყოფნისა.

კალათა ცარიელია, საზომი შემოდგომისა, მოიმკა რაცა
დათესა, დაშთა ლოდინი ხვალისა, ამქვეყნად ვინცა
მოვდივართ, გზა ფასი ფეხის კვალისა, მე წავალ, ლექსი
დარჩება, დღეს მირჩევნია ხვალისა.

იცოდა ხალხი ბრძენია

ზაქმა თქვა ზაქის სათქმელი, იცოდა ხალხი ბრძენია,
ბოლომდე ზიდა ჭაპანი, ღვაწლსა გალია დღენია,
სიტყვა ქართული ასია, კაცი ქართულად სწერია,
დაბასა ხეა სიცოცხლის, კაცი დაბელი ბერია.

კაცმა იცოდა ამბავი, ზაქი ზეცისა ფერია,
ცოდნია ფასი ხელისა, ვიმკით ათასი წელია,
მოყვარის გულსა მალამო, ბოლომდე მტერთა მტერია,
ხე გაიზარდა მოირთო, თურმე ზაქისა ხელია.

შავთელმა წყალი აპკურა, თქვა მარგალიტი ბაღისა,
რუსთველმა ზეცას აზიდა, დადგა ქარაგმა თაღისა,
გაღმა გამოღმა ნაპირი, კლდესა ხიდია ხარისა,
ქართული, სიტყვა კაზმული, ანდაზა მთისა ღარისა.

წმინდა მთა წმინდა სახლია, სახელი წმინდა მამისა,
ანდრიას ფეხის კვალია, ჯვარია წმინდა ქალისა,
ფერის თა იბერის სახლი, ფურის თას სახლი ზაქისა,
რუთავი, იბერთა ხარი, ციხე ყოფილა პაპისა.

ზაქი ხარისა სახლია, ზეცასა სახლი კაცისა,
ჭაპანი ხარის ტვირთია, თურმე ხვედრია პაპისა,
პაპა ხარია ზაქისა, კაპანი სახლი დაბისა,
წმინდა მთას ზღუდე ჰქონია, ზღუდესა ჰქვია სხალთისა.

პირველი ქრისტიანისა

იბერთა მიწა წმინდაა, წილია მარიამისა,
მფარველი დედა ღვთისაა, მშობელი ჩვენი მამისა,
ცოდნია ზანთა მიწაა, სახლია ნათესავისა,
მსურსო ანდრია მივიდეს, დადგას ტაძარი სახლისა.

ცოდნია მიწა იბერთა, ცოდნია ზღვარი სახლისა, უნდა
მიხვიდე, იხილო, სოფელი ზანთა ზვარისა, თაკარის
თავი რქმევია, პირველსა სახლსა ხატისა, ქრისტეს
პირველი მსახურის, სოფელსა უფლის ხარისა.

ზეგანი დალოც(ვ)ილია, კვალია მოციქულისა,
წმინდა ქალწული მისულა, ფარავანს ლოცვა ღამისა,
ზეგანი წმინდა სახლია, სახლია ქრისტეს რწმენისა,
ზეკარი წმინდა ხარია, ხარია დიდი ზაქისა.

სახლი ღირსებისა

ვიცოდი, გამიგონია, ყველა წყალს მისი ფონია,
დროთა აზიდვა მოგივა, მოგივა მძიმე დრონია,
კიბესა ბევრი ასულა, დაცემა გამიგონია,
დღეს ჭაბუკია ქურციკი, დრო გადის, რჩება მძორია.

კაცი ცოდვითა შობილა, ვარამსა გამოწრთობილა,
დროს წაუღია ვარამი, გაზრდილა, დაკაცებულა,
თუ დაიჩოქა უღელსა, ჭაპანი მძიმე ყოფილა,
მუხლი ებრძოდა მიწასა, წამოდგომისთვის შობილა.

კოჟრია ხარის კისერსა, უღელი შეხორცებულა,
არ უკადრია აუგი, არასდროს გაორებულა,
იცოდა მისი ტვირთია, ჯაფისთვის დაბადებულა,
ხარი ამაყი კაცია, ღირსების სახლი ყოფილა.

ხარი სახლია სიტყვისა, მდუმარე კაცის სახლია,
კაცის სიტყვაა ღირსება, ხარსა ღირსება დარქმია,
ხარი შარასა ვინ ნახა, არ იცის შარას რა ყრია,
ხარი ღირსებით შემკული, გახდება მთისა ზაქია.

ცოდნიათ წმინდა მამათა, ღირსება კაცის ფასია,
უღირსი მამლად არ ვარგა, ვით გაიზარდოს კაცია,
ერთი უღირსი სოფელსა, ასი უღირსად აქცია,
სოფელმა სახლი დაკარგა, ღირსებას ყავლი გასვლია.

დასაბამიდან ასეა, ყველა გზას მისი სასწორი,
უღირსის გზანი მოკლეა, გზასა არ ხვდება საზომი,
პატრონის ტვირთი მძიმეა, მონასა უნდა ბატონი,
ღირსება დიდი ტვირთია, ზაქი ღირსების პატრონი.

რას გვერჩის დედა ბუნება, რას გვემართლება არ ვიცი,
თუ ღირსებასა ველტვოდი, სახელის გზასა დავიწვი,
ქვეყნად ამდენი გზანია, უღირსი გზასა დამიცდის,
ბერწი და მაკე მერევა, მგონია ბერწსა დაიხსნის.

ცოცხალმა სახლი ავაგე, სახლსა დავარქვი ღირსება,
ვაჭარის თვალით მცირეა, კაცსა დახვდება დიდება,
დიდი სახლისა ზიდვასა, დიდი ვარჩიე ღირსება,
სახლი, სასახლე იქცევა, დროსა გაუძლებს დიდება.

გალესე ხმალი დაჰკარი, სიმხდალე დასაგმობია,
ხმალი საკეპი ხორცისა, სამჭედლოს დასადნობია,
დანა მხდალისა მახვილი, რომ არ გადარჩეს სჯობია,
ხმალი მარჯვენის ღირსია, ღირსება დასანდობია.

ივლიტას კველი სახლისა

ივლიტას სახლი ყოფილა, ნასახლარს დარჩა კველია,
სახლი სახელი გვარისა, სახელი ძველზე ძელია,
სახლსა შობილა თორნიკე, იოანე მთაწმინდელია,
შავთელის სახლი ყოფილა, ატყვია ზაქის ხელია.

ბევრი აკვანი დაირწა, ისევ აკვანსა ელიან,
ნაკურთხი სახლი ყოფილა, გაძლო ათასი წელია,
წმინდა მამათა სახლია, ნასახლარს მადლი სწერია,
ათონის მთასა იოანე, წმინდა მთას წმინდა ბერია.

პარეხელისა მოწაფეს ცოდნია სახლის სახელი,
აბდულმესია უქია, შობილა წმინდა შავთელი,
ბიზანტიასა მისულა, დიდი იოანეს სახელი,
რუსთველმა ზეცას აზიდა, კვალი იოვანე დაბელის.

ნასახლარს საძირკველია, ძირი სანთელი ფუძისა,
ფუძე პატრონსა მოელის, მიწასა კალთას უზისა,
სიწმინდე შეუნახია, ვითა ტაძარსა სულისა,
თუ საძირკველი გადარჩა, სახლი ნებაა უფლისა.

ნასახლარია ივლიტას, ივლიტას ფუძე გვარისა,
დროს წაუღია ამბავი, კველი იმედი ხვალისა,
ცოდნიათ ზაქის სახელი, ქართული მისი ხელისა,
სოფლისა თავსა ცოცხალი, აჩრდილი შავი ბერისა.

ამბავი კაცის სიყვარულისა

პირველად იყო ადამი, უსიყვარულო, ეული,
კაცი ცხოვრობდა ედემსა, წალკოტის სურნელს ჩვეული,
რვაასი წელი მარტოკა, მოწყენილი და ძლეული,
იყო სურნელი ბაღისა, ცხოვრობდა ვითა წყეული.

ყვავილსა ყავლი გასვლია, მოსწყინდა ვარდის სურნელი,
მგალობელთა ხმა ართობდა, ხმა ბულბულისა პირველი,
თურმე გალობა მოსძულდა, მოსძულდა ყველა ფრინველი,
მოსძულდა ფერი ყვავილთა, მოსძულდა მათი სურნელი.

კაცსა ედემის პატრონსა, კაცსა ეულსა მარტოსა,
ვარამი არა სცოდნია, თურმე ვით გაიხაროსა,
თუ სიხარული არ იცის, კაცი ვერაფერს დარდობსა,
კაცის სიცოცხლე ასეა, დარდობს რომ გაიხაროსა.

თუ სიძულვილი ისწავლა, ეცდება შეიყვაროსა,
კაცი მარტოკა მგზავრია, ეძებს ვინ დაიმგზავროსა,
მოწყენის მიზეზს იპოვის, გააგდებს რომ გაიხაროსა,
თუ თავის ტოლი არა ჰყავს, უფალმა დაიფაროსა.

თუნდა ედემი, წალკოტი, ათასფრად მოქარგულია,
ტკბილ-ხმა, ფრინველთა გალობა, უსმენდე მონუსხულია,
სიცოცხლე მარადიული, არ ჰქონდეს დასასრულია,
მოეწყინება ადამსა, სიცოცხლე სიყვარულია.

რა ენაღვლება მპარავსა

კაცი გარჯითა იცნობა, ზვარი პატრონის სახელით,
სისხამ დილასა იღვიძებს, ჰყოფნის სათესი, სამკელი,
სახლსა ბეღელი სჭირდება, ხარისა ალაფს საბძელი,
სახლსა პატრონი სჭირდება, პატრონსა კაცის სახელი.

გამრჯე უგვანო ვინა თქვა, კაცი გარჯასა ფრთხილია,
თაგვი, მაჩვი და კალია, საწილო გაყოფილია,
მაჩვი, კალია ნაყოფსა, თესლსა თაგვისა წილია,
პატრონსა თავის სამყოფი, წაიღოს დარჩენილია.

დასაბამიდან ასეა, საწილო გაზომილია,
სოროს სამყოფი მარაგი, ბეღელი დალოცილია,
თუ მაჩვმა სორო გაზარდა, გაზარდა თავის წილია,
თაგვის საწილო წაიღო, კაცსა დარჩება მწირია.

პატრონი გამრჯე კაცია, მარჯვე და გონიერია,
მიხვდება მაჩვის სიხარბეს, ხარბზედა ღონიერია,
თაგვი სოროსა მიიყვანს, სიხარბე წამიერია,
მპარავის წილი ცალკეა, მოპარვა ზომიერია.

მპარავის გულსა ნაღველი, ვერ მორევია ვარამსა,
სოროს თაგვია მპარავი, დარაჯობს მაჩვსა მპარავსა,
სხვა ქურდი სარჩოს წაიღებს, კარგავს საქმესა მთავარსა,
თუ მაჩვი ბეღელს მივიდა, თაგვი ვერ მოიპარავსა.

სამ თასა

თასი სახლი კაცისა, თას თავი ზანთა კაცისა,
თა ხეთებისა მთას ერქვა, ენასა ხეთთა ხალხისა,
მთა-ბარი კაცის სახლია, ბარი სახელი ტანისა,
ბა სახელია ზაქისა, ბას სახლი კაცის ხარისა.

პატარა ხარი ბასკია, კი ხმა პატარა ხარისა, ბასკეთი
ზანთა ხალხია, ხმა დაკარგული კაცისა, ქრისტემდე
რვაასი წელი, და ხალ-ი წასვლა ხალხისა,
აღმოსავლეთის ვანდალი, ხიზანთა წყევლა მტერისა.

პირველად დასრულებულა, ზეობა ზანთა მეფისა,
თურმე ოთხი ცი გასულა, კიდევ სი სახლსა ყოფნისა,
ხათუსილ ხეთთა მეფეა, ცი და სი ზომა დროისა,
ზანთა და ხეთთა ვარამმა, შვა ხალხი იბერიისა.

ცივი თა ზანთა ზღვარია, მიწაა ზანთა კაცისა,
მთისა და კაცის სახელი, ამბობს დაცემას სახლისა,
ორი მთა ორი სახლია, ზანთა და ხეთთა ხალხისა,
მესამე მთაა ფერისა, სახლია კაცის ფურისა.

პირველი თაა ხიხანის, თავი იბერთა ხარისა,
მთა ცივი, ზღვარი იბერთა, ზღვარი ორისა სახლისა,
ფერის მთა თაა იბერის, ცივი დაბელი ზაქისა,
სამი მთა სამი სახლია, იბერთა სამი კაცისა.

პარეხი ზაქის ხარია, სახელი ზაქის სახლისა,
კარჩხალი წმინდა კარია, სახლისა წმინდა კაცისა,
ბერთა მამათა სავანე, ბოლო გზა წმინდა ბერისა,
ზაქის სახლია თა წმინდა, სახლია წმინდა ხალხისა.

მოვიდოდა წმინდა ქალი

მოვიდოდა წმინდა ნინო, თან მოჰქონდა წმინდა ჯვარი,
წმინდა მიწას მოვიდოდა, მოვიდოდა წმინდა ქალი,
სიცხე ფეხსა უკორტნიდა, ცხელი ქვიშა, ნაკვერჩხალი,
მოაპობდა ზამთარს ცივსა, ვერ დაუდგა ყინვა ქარი.

მოვიდოდა ჯვარით ხელსა, მოსერავდა ზანთა მთებსა,
მარტო ქალი მოვიდოდა, არ უფრთხოდა გზასა ძნელსა,
მოვიდოდა ჩირაღდანით, ანათებდა ღამეს ბნელსა,
ქრისტეს რჯული მოვიდოდა, ავედრებდა მამა ღმერთსა.

წმინდა მიწას ხმა ესმოდა, წმინდა ზაქი მთას ზმუოდა,
წმინდა ქალწულს მოუძღოდა, წმინდა სახლი ჯვარს ელოდა,
მთასა წყლული დამჩნეოდა, მიწას ბზარი გასჩენოდა,
მოვიდოდა წმინდა ნინო, გზასა კვალი დამჩნეოდა.

წმინდა მთასა ზარი რეკდა, ფარავნის ტბას ხმა ისმოდა,
დედა ღვთისას მხევალიო, მიწა მტვერსა ეკრძალვოდა,
მთასა ხარი გაჰკიოდა, ბარსა წყალი ირწეოდა,
წმინდა მარიამის წილსა, მადლი ღვთისა ეცემოდა.

მტკვარი არაგვს მორეოდა, დაეხუჭა არმაზს თვალი,
წყალს ამბავი მოეტანა, მოსულაო მესხეთს ქალი,
მთა ფურისა გადმოლახა, მცხეთის ქალაქს მოიჩქარის,
ჯვარის მთასა სიდონია, სვეტსა დგამდა დედოფალი.

ხეთთა ხიზანი

ხეთა მთებია ზეგანი, ზანთა ნაცადი ხერხია,
დასავლით კავკასიონი, სამხრეთის ზღვარი ხეთია,
მიწა ქართლოსის სახლია, ზანთა ზეგანი ერთია,
სახლი კაცისა ხორცია, კაცის პატრონი ღმერთია.

ხეთა ზანების ხელია, მთა ზეგანისა ფარია,
კავკასიონი ცერია, შუაში ორი წყალია,
წყალი სახლია ხარისა, პატრონი ორი ხარია,
ოთხი ათასი წელია, მიწასა ორი გვარია.

ზანთა კაცია ზეგანი, კავკასიონი ხელია,
პონტოს ზღვა ხელის გულია, კოდორის მთასა ცერია,
მარჯვენას ხმალი უპყრია, მარცხენას ფარი სჭერია,
ექვსასი წელი ებრძოდა, ვერას აკლებდა მტერია.

ფარი მედეგი ყოფილა, კაცსა დაღლია ხელია,
აღმოსავლეთსა ვანდალნი, სამხრეთსა ეგვიპტელია,
კაცი დასავლით წასულა, დრო დადგომია ძნელია,
ხეთების ფარი დაძრულა, ჩრდილოსა გაუწევია.

ექვსასი წელი ზეობა, ზღვამდე მისულა მიზანი,
ბედმა უმუხთლა, ვერაგმა, დამარცხებულა ტიტანი,
ხეთები ხეთას გასცლიან, ვერ უპოვიათ ნიშანი,
მეხი სადგური ყოფილა, ხეთსა დარქმია ხიზანი.

ოთხასი წელი იცავდა, სახლსა ხარი და ხიზანი,

ორი მთა ორი სახლია, მთათა სახელი რან-ზანი,
თასი ხეთეგის სახლია, ზანთა სახლია თა ზანი,
თასცი სახლია კაცისა, ორი ერისა მიწანი.

დიდი ბაკური დიდია, სარდალი ძველი რომისა,
ცოდნია ზანთა სახელი, ცოდნია სახლი ლომისა,
თა ხისი სახლი ახალი, მემკვიდრე ორი ერისა,
ხი სახლი ზანთა ზაქისა, სი სახელია ხერისა*.

*თახისი.თას 26(8), ხი 103(4), სი 47(11).ჯამი:
41(ორ).12(ის).2(ბას) ორთა-42(ერ).სახლს დარქმევია იბერთა.
(მთა).
თა(10), თას(3).ჯამი: 13(ი).იბერ(თ)ა, იბერ(ი)ა.სახელი ხელი
ყო-ფილა დიდი იბერისა.იბერია იგივე სახლია კაცისა(28+34).
*ხისი-იბერთა პირველი სატახტო ქალაქი ყოფილა.
*ხერ-სახლი ხეთთა კაცისა.

უფლისწულის ხსოვნისა

მე ერთგული მეგობარი ვიცი,
უთქმელ სიტყვას მიმიხვდება ვიცი
ბედმა ერთხელ შეგვახვედრა ტობას,
შევითვისეთ, შევისისხლეთ ძმობა.

ძმადნაფიცი, ძმაზე უფრო მეტი,
სიკვდილამდე ერთგულებას ვჭვრეტდით,
პაპის სახლსა ვიზრდებოდით ერთად,
გული მქონდა შევებმოდი დევთა,

თუ ბალღები გავიზარდეთ ძმებად,
სიჭაბუკეს ძმადნაფიცი გვერქვა,
სიტყვა იყო ერთგულების ფიცი,
ვფიცავ ღმერთსა, გვქონდა ძმობის ნიჭი.

უფლისწული, ერთადერთი კაცი,
მან იცოდა მეგობარის ფასი,
ახოვანი, დევის მოდგმას ჰგავდა,
მე ერთგული მეგობარი მყავდა.

მეგობრობა სიკვდილამდე მწამდა,
ორპირობა სიკვდილივით მძაგდა,
მოგვეწია გზად სიმუხთლე ტიალი,
ჩვევად მექცა თვალი მუდამ წყლიანი.

ხელი სტაცეს, წაიყვანეს მხედართა,
თურმე მეფეს ტახტის ვალი ემართა,
მე მარგუნეს თმოგვის ციხე ტიალი,
მომანატრეს მეგობრისა ტრფიალი.

ტუსაღი მყვეს, ვერაფრითა ვშველოდი,
ციხის კართან მეგობარსა ველოდი,
ყოველ დილას ხვეწნა თხოვნა დარაჯთა,
მითხარით რომ მეგობარი გადარჩა.

თურმე კაცი გულთმისანად შობილი,
განსაცდელსა ჩავარდნილა ძმობილი,
ვიდრე ტუსაღს კარისკაცი მეტყოდა,
წინა ღამეს კაცის ტანჯვა მესმოდა.

დილას კართან გავიგონე ღრიალი,
ძმა მოგიკლეს, დარჩენილხარ ტიალი,
გული მოკვდა ქვაკაცისას გავდა,
დასამარხი მეგობარი მყავდა.

დარაჯს ვთხოვდი ვედრებასა კაცისა,
დარდი მქონდა თუ სამარე ეღირსა,
კაცმა მითხრა საზარელი ამბავი,
დაკარგულა შენი მოძმის საფლავი.

ჩემი გრგვინვა ვეფხვის ბორგვას ჰგავდა,
დაკარგული მეგობარი მყავდა,
კალენდარი შვიდ წელიწადს კრავდა,
მეგობარი მოსაძებნი მყავდა.

არ მეგონა თურმე ბედი მქონია,
მუხის ძირსა დემნას სახლი ჰქონია,
მარტო ვიყავ, თურმე ზეცა მიცავდა,
მოვიპარე, გულს ჩაკრული მიმყავდა.

მეგობრობა სიკვდილამდე მწამდა,
ერთადერთი მეგობარი მყავდა.

ხმა ბუნებისა

ზაქმა იკადრა ზმუილი, მგელმა ისწავლა ყმუილი,
ყრანტალი ყვავის ენაა, ვეფხვის ბოკვერის ფხუილი,
მთასა არწივის ყივილი, ველსა კრაზანას ბზუილი,
ხარისა ხმაა კივილი, ლომსა ცოდნია ღმუილი.

წყალსა ბაყაყის ყიყინი, კლდის წვერსა თხისა კიკინი,
პატარა თაგვის წრიპინი, პატარა ბალღის ტიტინი,
ზვარსა კალიას ჭრიჭინი, ხრამსა გველისა სისინი,
ტყესა დათვისა ღრიალი, საღორეს გოჭის ჭყვიტინი.

მტრედსა ცოდნია ღუღუნი, ბაღნარსა გალობს ბულბული,
კოდალას ხმაა კაკუნი, ხმა გუგულისა გუგუნი,
ცხენის ძახილი ჭიხვინი, ხმა ნაწყენისა ფრუტუნი,
პატარა კვიცის ჭიქვინი, ხვადი ცხენისა ხიხვინი.

ხმა მოზვერისა ბღუილი, დედა ღორისა ღრუტუნი, ტყესა
ტახის ხმა ტიხვინი, კატის ალერსი კრუტუნი, მამალი
კურდღლის კურკუხი, მისივე დედლის კურკული,
საღამოს ტურის ტურტუხი, დედალი ტურის ტურტული.

მამალი მაჩვის წურწუხი, მაჩვის დედალის წულწული,
დათვისა ბელის კმუსუნი, ყვავის ბახალას ხივილი,
მამალი ბატის ყარყარი, ჭუკების დედის ყირყილი,
იხვის მამლისა ხირხიცი, დედალი იხვის ხივხივი.

ციყვისა ხმაა წრუპუნი, ხმა ფოცხვერის ხავილი,
ველსა აფთრისა კივკივი, ტყესა მელიას ჭყივილი,
საქათმეს ქათმის კრიახი, ბუდეს წიწილას წივილი,
ბაკსა ვირისა ყროყინი, გზასა აქლემის ბოყინი.

ყარყატის ხმაა ყარყალი, სიცილის ხმაა ხარხალი,
კაცის ძახილი ყვირილი, ჩუმი სიცილი ქირქილი,
ბევრის სიცილი ხორხოცი, ბრძოლის წინ მხედართ ყიჟინი,
რამდენი ხმაა სამყაროს, იმდენი სიცილ-ტირილი.

მთასა ჩირუხისა

ხიხანის თავსა ხარია, დაბლა წყლის საზიდარია,
ბაკოს თავს მთაა ჩირუხის, წვერი თაკარის თავია,
ციხე ბოკვერის სახლია, კლდის თავსა დედა ვეფხვია,
ლეკვი დედასა მისვლია, ზურგსა ნაგაზის სახლია.

ბოკვერსა საფრთხე უგვრძნია, მიფარებია დედასა,
კლდის თავსა ვეფხვი მრისხანე, ეშვითა იჭერს ვერაგსა,
მთასა ზემოდან დასცქერის, მისვლას ვინ გაუბედავსა,
წინ დიდი მაჩვი ხატია, ნაგაზი ვერა ხედავსა.

ციხე ნაგაზის სახლია, ვეფხვის ერთგული კაცია,
ნაგაზი ხევსა გასცქერის, ციხესა თვალი აკლია,
ვერაგი ხრამსა მისულა, ვეფხვის თვალს დაუნახია,
დაუჭერია ეშვითა, ვით(ა) თაგვი გაულახია.

ვიცოდი ციხის ამბავი, ვიცოდი ხელი ხარისა,
სურათსა ვხედავ, ცხადია, ვით დავიჯერო თვალისა?
ხევის თავს დიდი ტილოა, კლდესა ხელია მხატვრისა,
ვეფხვი, ბოკვერი, ნაგაზი, ქალი ნახატი კალმითა.

ბაკო ბაკურის სახლია, მთასა ბაკურის ქარაგმა,
მთისა სახელი, სურათი, კაბალას ხელმა დარაზმა,
გადარჩა პაპის სახელი, შემოგვინახა დარაჯმა,
ჩი(რუ)ხი ჩემი სახლია, რუსთველის სახლის ქარაგმა.

ამბავი დაბის ნასახლარისა

სხალთისწყალს ძველი ხიდია, თაღი ნაგები კირითა,
რვაასი წელი გზასა დგას, მგზავრი მოდის და მიდისა,
გზა საქარავნე ყოფილა გამძლეა ჯორის, ვირისა,
ხიდი ქარაგმა ყოფილა, ყვება ამბავსა გმირისა.

სოფლისა ბოლოს ქარაგმა, ქარაგმა სოფლის ძირისა,
წყალსა ამბავი მოჰყვება, ამბავი დაბას მიდისა,
მორევი დროთა ტრიალი, ქარავანს მოაქვს ჰყიდისა,
ხიდი ბურჯია სოფლისა, დარაჯობს არსად მიდისა.

ზამლეთის თავსა წვერია, კისერი ზაქის თავისა,
ზაქი დარაჯი დაბისა, დარაჯი კაცთა გვარისა,
მივედი კაცსა შევკადრე, მოყოლა ამბის ძვირისა,
მდუმარე კაცმა დაწერა, ამბავი თვალით ხილვისა.

ოთხიათასი წელია, ვდგავარ უტყვი და მდუმარე,
ერთხელ არ დამირღვევია, ჭმუნვასა ვადებ მჭვუნვარეს,
გარშემო ვაკეს ვუცქერდი, ახლა ხევია მდინარე,
იმდენი კაცი ვიგლოვე, ხევი ცრემლია მდუღარე.

პირველად მესმა ზახილი, გლოვა პირველი კაცისა,
ათასი წელი ვიგლოვე, თაკარა მთასა ავიდა,
მოვიდა ვინმე წმინდანი, მოიხმო ხალხი დაბისა,
თურმე ტაძარი დაუდგა, შეწყდა მოზიდვა თავისა.

მერე ზარის ხმა მესმოდა, ავსა და კარგსა მამცნობდა,
შვიდასი წელი გაგრძელდა, ხმა გალობისა მატკბობდა,
მოვიდა ვინმე ვერაგი, კაცი კაცის ხმას ნატრობდა,
დაიქცა სახლი ტაძარი, სამასი წელი დაობლდა.

ვიდექი კაცი მდუმარე, მთასა უძრავსა რა მექნა,
გადამთიელთა თარეშსა, ბევრი სიხარბით დანებდა,
დაბასა დადგეს ქარვასლა, სულისა სყიდვა დაწესდა,
ხევები ჩემი ცრემლია, მარტო ვიყავი რა მეთქვა.

ველოდი, მქონდა იმედი, ატყდა ჭექა და ქუხილი,
გული კეთილსა მიგრძნობდა, ლამის გავტეხე დუმილი,
ხმა ჩამესმოდა მდუმარეს, სულ მალე გამოიდარებს,
მოვა დრო მოვლენილისა, შენ გაიხარებ მჭვუნვარე.

დაბასა კაცი ვიხილე, ხალხმა თქვა ბევრი იცისო,
ხალხი სამალავს გამოვა, შეწყდება რყევა მიწისო,
ტაძართ აგება უთქვია, დაბასა მინდა დიდისო,
ახალი ერა იწყება, იწყება ხანა დიდისო.

ას წელს ველოდი მოვიდა, კაცი ცეცხლით და მახვილით,
ას წელს ფხიზელი ვიყავი, რა დასვენება რა ძილი,
არსიანს თვალი მოვკარი, ელავდა ათი მახვილი,
ათი მხედარი მიჰქროდა, წაიღეს გულის ქადილი.

ათი წლის მერე მობრუნდა, ცხრა კაცი ათი მახვილი,
ცხრა კაცმა მუხლი მოდრიკა, კაცნი ვიხილე ნამდვილი,
ჩუმად იგლოვეს კაცებმა, ხევსა ისმოდა ზახილი,
დრო დადგა მოვლენილისა, ამიხდა გულის ძახილი.

დაბასა ზარმა დარეკა, მიჰყვა სხალთისა ზარიო,
ბევრი ტაძარი აიგო, იღვწოდა დაბის ხარიო,
ძველი ანბანი ვიცოდი, ხარის ახალი არიო,
ვიხილე ხელი ნატიფი, კაცსა დამიდგა დარიო.

კაცი წავიდა ვიტირე, დატოვა დიდი კვალიო,
მეგონა დაბრუნდებოდა, ჩუმად ეძებდა თვალიო,
ხე სიცოცხლისა ვიცოდი, გავიდა ვითა წყალიო,
მთასა ამბავი მოვიდა, მთას მოდის ზაქის ხარიო.

მოვიდა კაცი მთას დადგა, ჩუმად დავწერე ჯვარიო,
ზაქისა ტვირთი წაიღო, არ დაჩოქილა ხარიო,
უმადურობა ვიხილე, მკლავდა ბოღმა და ჯავრიო,
ზაქმა ჭაპანი წაიღო, დახურა ხევის კარიო.

უმადურებმა დათესეს, ხალხმა გაიღო ვალიო,
ჯალალი მალე წავიდა, მონღოლთა დადგეს თვალიო,
დაიქცა ძველი დიდება, წაშალეს ძველი კვალიო,
ას წელზე მეტი გაუძლო, წაიქცა დიდი ხანიო.

შვილო ამბავი გრძელია, ყველა გიამბო ძნელია,
მტერი მოყვარე ირევა, ყველგან სიხარბის ხელია,
მოვიდა ხარი ზაქისა, თავი არ შეურცხვენია,
მეორე ხარი ზვარაკი, სიკვდილი მტერის ხელია.

ორივე ხარი გასწირეს, დადგნენ ცოდვისა კალოსა,
მოყვარის ხელი ერია, მოდგმამ ვით გაიხაროსა,
სამრეკლოს ზარი დადუმდა, წითელი დაჰკრავს წყაროსა,
მოველი ზაქი მოვიდეს, კაცები დაიბაროსა.

სამოცი

ზიქურათია პირველი, ზანთა და ხეთთა ხელია,
ცი ასაკია კაცისა, სიცოცხლე ასი წელია
ზაქი ხარია კაცისა, კაბალას ასე სწერია,
პირველი ხარი ზაქია, პატარა ხარი ხელია.

ზაქის ასაკი თხუთმეტი, ათი პატარა ხარისა,
კაბალის სახლი სამოცი, სახლია კალენდარისა,
სახლი ასაკის საზომი, ასაკი ოთხი ხარისა,
პატარა ხარი ექვსია, ხელია კაცის მხარისა.

ზაქის სახელი დიდ-ია, პატარა ხარი რარ-ია,
კაბალა კალენდარია, ხარის გზა წრეა, მრგვალია,
სამოცი სამი ოცია, ზანთა კაბალას ქალია,
ზანთა სახელი ფასია, სამჯერ გაივლის ხარია.

ზაქი პირველი ხარია, პატარა ხარი ექვსია,
ორმოცდა ექვსი დაბ-ია, თურმე რვაასი წელია,
პირველი კაცის ასაკი, კაცსა მიეცა ხელია,
ორმოცდა ცხრაა კაბალა, ციხის ამბავი სწერია.

ფასი რიგითა ოცია, ორას თოთხმეტი კაბალა, ციხე
ამდენ ხანს სჭერია, თურმე ამბავი დამალა,
ორმოცდაცხრაა რუსთველი, ქარტეხილს გამოატარა,
ორასთოთხმეტი წელია, ციხე ასაკმა დაღალა.

ბაკოს სასახლე ყოფილა, ნაგები აბუსერისა,
დაუქცევია ლიპარიტს, ჯავრი უყრია მტერისა,

მისულა მეფე თამარი, ხელითა მშვენიერითა,
თურმე უბრძანა პოეტსა, დადგი შენივე ხელითა.

მერე ვერაგი მისულა, სპობდა თამარის სახელსა,
თამარის ციხე მოგრაგნა, სახლს ეცა მეფის ნაგებსა,
ვერაგი მწყემსთა მოუკლავთ, დორბლი ჰქონია ბაგესა,
ვერაფრით ავნო თამარსა, კაცი იცავდა სახელსა.

სამოცი სამი ქალია, ორასი ორი კაცია,
მეფე თამარი პირველი, სუსანა ლაშას ფასია,
ბაგულ ქალია პოეტის, მიწა სასახლედ აქცია,
სამოცი ბაკოს სახლია, სამოცი სახლის ფასია.

სამოცი ხარის სახლია, სახლი ყოფილა ტბელისა, სამ-
ოც(ი) პაპის ხერხია, კაბალა პაპის ხელისა,
ოცდათორმეტი ერთია, ჭა-რუა ხეთთა ბრძენისა,
სახლი სიბრძნისა წყაროა, წყარო რუსთველის ხელისა.

ბუნება ითხოვს შველასა

დედასა შვილი უჩნდება, პატარა მოდის სამყაროს,
იმ დღიდან დედა ვეფხვია, დედა პატარას დარაჯობს,
დედა სიკვდილსა შეებმის, ცდილობს პატარა დამალოს,
თუ საფრთხე დაემუქრება, მზად არის სისხლი დაღვაროს.

დედა ბოლომდე დაიცავს, ვერავინ კადრებს წყენასა,
გაზრდილი შვილი ცივდება, სითბოსა აკლებს დედასა,
დარდი ვარამი მტერია, თანდათან მისვლას ბედავსა,
ბერდება, დაძაბუნდება, ეჩვევა ჭირთა თმენასა.

შვილის აუგსა ვერ იტყვის, გულსა დამალავს წყენასა,
იქნება მანამ გაუძლებს, ვინ ანუგეშებს დედასა,
ბუნება ჩვენი დედაა, უძლებს უგვანო ქცევასა.
სამყარო დატანჯულია, ბუნება ითხოვს შველასა.

სააქოდან საიქიომდე

თურმე ადამის სიცოცხლე, სააქაოსა ყოფილა, თურმე
მიწისგან შექმნილა, უდედოდ დაბადებულა. პირველი
კაცის სიცოცხლე, სიკვდილზე გამარჯვებულა,
სიცოცხლე მარადიული, სიკვდილი არა ყოფილა.

კაცსა ცოდნია ამბავი, ცოდნია სიტყვა უფლისა,
ედემის ბაღი გაჩუქე, გაძლევ სიცოცხლეს მუდმივსა,
შენთვის შევქმენი წალკოტი, წალკოტსა დავრგავ ხეს, ხილსა,
იცოდე ერთი ჩემია, შენ მოგაბარებ გაზრდილსა.

იცოდე ხესა ნაყოფი, მწიფე იქნება მუდამო,
ეცადე ახლოს ნუ მიხვალ, გარს მოუარე მიდამოს.
ქალის ტრფიალმა აცდუნა, თქვა: ვეკრძალვოდი მუდამო,
ვიგემე ყველა ნაყოფი, ეს დამრჩა, უნდა ვიგემო.

კაცმა ნაყოფი იგემა, სიცოცხლე გახდა მანძილი, თუ
დასაწყისი იცოდა, დასასრულს მისცა ადგილი,
სიცოცხლის ათვლა დაიწყო, გასავლელის და გავლილის,
სააქოდან მიწამდე, გაზომვა გახდა ადვილი.

მიწა ნაყოფის მომცემი, ქალმა შვა შვილი მოკვდავი,
შვილი მიწისა მუდმივი, მიწის ნაყოფი უკვდავი,
ქალი მიწაა კაცისა, მისი ნაყოფი მოძრავი,
მანამ მიწასა დადგება, მოვა სიკვდილი მოკვდავის.

შობიდან საიქიომდე, მანძილს დარქმია სიცოცხლე, ვითა
ულაყი რბოლასა, მიჰქრის და არქმევს სიმოკლეს, ცხენი
დასასრულს იჩქარის, ქელავს ასაკსა, სინორჩეს, ულაყი
რბოლას ასრულებს, სრულდება კაცის სიცოცხლე.

სიცოცხლე დიდი რბოლაა, ცხენსა უქებენ სიმარდეს,
ცხენი რბოლასა მოიგებს, აქებენ ახალ რბოლამდე,
სააქაოსა სიცოცხლე, სრულდება საიქიომდე,
კაცისა ღვაწლი რბოლაა, რჩება მეორე რბოლამდე.

მეურჩებოდა კურცხალი

კუბოსთან ხალხი ტიროდა, ეზოსა ზღვაა ცრემლისა,
კაცის და ქალის ვაება, ბალღამი ტირილ-თმენისა,
პატარა კაცის სიკვდილსა, მოჰყვა ხმა ხარის რქებისა,
დატირებაა კაცისა, დადგა გზას მოუსვლელისა.

კაცნი ტკივილსა მალავენ, კაცნი ხარკს ჩუმად იხდიან,
ცრემლისა მალვა წესია, კაცნი მდუმარედ ტირიან,
დასაბამიდან ასეა, მიწას მოდიან, მიდიან,
კაცისა ფასსა კაცი გრძნობს, ფასსა სახელით იმკიან.

კაცი მდუმარედ ვიგლოვე, გულსა მასხია მდუღარი,
კაცი კვდებოდა, იბრძოდა, კაცთან მივედი სტუმარი,
ხმა წაერთმია ვერაგსა, ძვალი და ხორცი მხურვალი,
ვიგლოვდი კაცსა ცოცხალსა, მეურჩებოდა კურცხალი.

დასრულდა კაცის სიცოცხლე, დასრულდა ბრძოლა ხორცისა,
კაცი წავიდა, დამტოვა, საქმით ქმნა სიტყვა პირისა,
უკანასკნელი პირობა, ტვირთია კაცის ჭირისა,
დაუძლეველი დასძლია, ფასია სიტყვის ძვირისა.

მშვიდობით ძმაო, მივდივარ, მარტო ხარი ვარ უღელსა,
პატარა კაცი დაგარქვეს, სწევდი ზაქისა ურემსა,
მარტომ წაიღე ჭაპანი, თურმე მალავდი წყლულებსა,
მშვიდობით ძმაო, ნახვამდის, ზეცას იხილავ სულებსა.

ალალი იყოს ძმობილო, შენი სახელით ვილოცებთ,
კაცებმა კაცი ვიგლოვეთ, ცრემლმა წაიღო სიმორცხვე,
განგებამ ასე ინება, გარგუნა დღეთა სიმოკლე,
ზეცასა კაცი წახვედი, მიწას სახელი იცოცხლებს

ცივი სამარე

ცივ თასა ცივი სამარე, ცივი ხელითა დავმალე,
ვერ დავიცავი, მომიკლეს, არც დატირება მაცალეს,
კაცი ცოცხალი მეგონა, თურმე ცივ თასა აწამეს,
ტახტის სიცივეს ვჩიოდი, ცივი სამარე აკმარეს.

ცივ ყორეს ცივი წყაროა, ცივ ტბასა მოძმის თვალია,
თვალი სავსეა ცრემლითა, გადმოდის ცივი წყალია,
ცივ თასა ძმადნაფიცია, ცივ კლდესა სული დალია,
კაბადონს ცივი მთვარეა, ძმასა დარაჯობს, ვალია.

მეგონა ავად ვიყავი

მეგონა ავად ვიყავი, მეგონა ხორცი მტკიოდა, სარჩო
უფალმა მიბოძა, მყოფნიდა არა მშიოდა, მადლიერი
ვარ უფლისა, სახლს ვიყავ, არა მციოდა, პატარა ხარი
დამარქვეს, ხელს ღვაწლი გამოსდიოდა.

ცხოვრების ავან-*ჩავანი, ვიდოდა, დრო გადიოდა,
იღბლიანს თავზე საყრელი, უიღბლო ბედსა ჩიოდა,
ბევრისა სახლი დაიქცა, ბევრგან მამალი ყიოდა,
ცხოვრების ფარდას ვხედავდი, კადრი ვით წყალი დიოდა.

მოსვლისა რიგსა იცავდა, წასვლას ურიგოდ ტიროდა,
პაპისა წასვლა ეგონათ, პაპას ნაგრამი სტკიოდა,
ბებერი რიგსა ელოდა, ჭაბუკის დედა კიოდა,
რომ ჩაესვენა ეგონათ, დილას მზე ამოდიოდა.

ტაძარს იწვოდა სანთელი, ხმა გალობისა ისმოდა,
რა ერქვა წუთისოფელსა, ღამე მამალი ყიოდა,
ბნელსა ვერცხლის ხმა ისმოდა, ქოხსა პატარას შიოდა,
ხორცი მეგონა სნეული, უდრეკსა სული მტკიოდა.

ციდან პაპის ხმა მესმოდა, წიქარა ხევსა ზმუოდა, დათვი
ირემსა ბელავდა, ბებერი მგელი ყმუოდა, მართალი
სიტყვას ამბობდა, ვერცხლის წინაშე ტყუოდა,
სამრეკლოს ზარი რეკავდა, ზვარსა კრაზანა ბზუოდა.

კაცი ფარდის წინ ვიდექი, ვუცქერდი გმირთა თამაშსა,
ნიღაბი ათას-ათასი, „მართალი“ ცვლიდა „მართალსა“,
სუყველა სცენას ელტვოდა, ნიღაბი სახეს ფარავდა,
ვუცქერდი, სული მტკიოდა, გულსა ტკივილი ღარავდა.

მამაო ჩვენოს ამბობდა, უბეს სატანას მალავდა,
დაეცა ზე აღმართული, სვეტი მიწასა დავარდა,
უფალო ძალა მოეცი, მოიმკა, ხიბლსა ჩავარდა,
ხმა ისმის დედა ბუნების, სამყარო დაპატარავდა.

ლექსი სახლისა დაკარგულისა

თურმე ედემი, წალკოტი, სახლი პირველი კაცისა,
პირველი სახლი ადამის, კაცი პატრონი სახლისა,
სული თიხასა ყოფილა, მიწა სადგომი სულისა,
ცოცხალი ერქვა თიხასა, სადგომი-სახლი მიწასა.

თიხისა წრთობა, მოზელა, ოსტატი აძლევს ფორმასა,
მეორე წრთობა იწყება, აჩვევენ ფეხზე დგომასა,
ცეცხლითა წყალსა აცლიან, უწყალოდ ჰკლავენ თიხასა,
ქვა სიკვდილია მიწისა, მკვდარი დაკარგავს ბინასა.

ადამის ტანი თიხისა, თიხასა ჰქონდა წყალია, მიწა
ცოცხალი ვიდოდა, თურმე ჰქონია სახლია,
სიცოცხლე დათმო ადამმა, ისურვა კაცის ტოლია,
წყალი სისხლია ხორცისა, ხორცი ადამის ცოლია.

ქვაკაცი მკვდარი თიხაა, თურმე ადამი დევია,
დიდია ზომა ტანისა, სიკვდილი ტანის მდევია,
თავი სულია კაცისა, ტანს უკან დაუხევია,
ქვაკაცი თავი ადამის, ხორცსა სიკვდილი სწვევია.

თურმე ა(Ꞿ) ზაქის თავია, მი-მიწა ზაქის ტანია,
აღმოსავლეთი ა(Ꞿ)მოსვლა, ას თავი ზაქის რქანია,
მიწასა ჩე-მი ტანია, ასე იტყოდა ზანია,
ზაქი სიცოცხლე თავია, ცა(Ꞿ)ს მიმავალი მგზავრია.

თიხასა ხორცი არჩია, დაკარგა მიწას სახლია,
დაბადებიდან გზაშია, სიცოცხლე-კაცი მგზავრია,
თიხა მოკლული მიწასა, ქვა დარჩა, წყალი აკლია,
ქვათა ღაღადი ზახილი, ადამმა ხორცი არჩია.

ადამა სახლი დაკარგა, სახლსა მგზავრობა არჩია,
მოდგმასა მისი სასჯელია, დაკარგულს ეძებს, გზაშია,
ხორველა მგზავრის ხორცია, ხორცი სიკვდილის ცდაშია,
მიწისა ხარკი ხორცია, მოდგმა თიხისა ვალშია.

ფეხი ტოლია კაცისა, ფეხი მიწასა დარჩება,
თავი სულია ზეცისა, მიწას დატოვებს, გაქრება,
სოცოცხლე კაცის ბრძოლაა, ხორცი თიხასთან მარცხდება,
დაიბადება ანთია, გზას ჩირაღდანი ჩაქრება.

მთა ზაქის ხარისა

ხილსი სახლია სიტყვისა, ცივი ხმა ზანთა კაბალის,
ქურუმთა ენა ნუსხური, ვით მოგონილი ზღაპარი,
ციხე სახლია სიცოცხლის, კაცის სახლია მთა-ბარი,
კაცის სახლია პირველი, ბოლო სადგური აქ არი.

ცოდნია ზანთა პაპასა, ცოდნია წმინდა ამბავი,
იაკობი დიდი პაპაა, იოსების სახლი მთავარი,
ისიდა ზანთა მოდგმაა, სახლი კარია სამარის,
იახილი ზანთა პაპაა, მთებია ზანთა თაკარის.

ზანთა ზეგანი ზვარია, ზვარი ყანაა ქერისა,
პაპა პატრონი ზეგანის, დღემდე ურმულსა მღერისა,
მთავარი ზანთა ზაქია, ხეთა ხარია ხერისა,
ორი ხარია პატრონი, ორი მახვილი მტერისა.

აღმოსავლეთი ხერია, დასავლით მთაა იბერთა,
ქვეყანა დაა ხარისა, ცოლი სახლია იმ ერთა,
ისიდა იმის ცოლია, შერთვა ზღაპარი ბერძენთა,
და ხეთებისა ცოლია, იბერი სახლი ივერთა.

კასპია კაცის სახლია, ხარის სახლია ზეგანი,
ცივი თა ზანთა ზღვარია, მხარია ქედი ზეკარი,
ლიხი ხარისა სახლია, ჩრდილოსა ჯიქის ნიშანი,
ური დაბლაა კოლხეთი, ზაქის ხარია ხიხანი.

მზე აღმოსავლით ამოვა, სხივი სახლია, ხარეთი,
ხაშტა აისსა დახვდება, რიგსა დგას ხევი მარეთის,
წმინდა მთას სხივი ეცემა, დაბისა სარკე ზამლეთი,
ციხის მთა ზაქის ზურგია, თავია აღმოსავლეთი.

ჰარალე, ჰარი, ჰარალე, მღერის ქართლი და კახეთი,
ზანთა და ხეთთა ხმა ისმის, ხმა დაკარგულა მესხეთის,
ხმა ზეციური ხარისა, ისმენდა ძველი კოლხეთი,
კაცის და ხარის ჰანგია, ჰანგი ხეთას და ზანეთის.

ლოცვა დედისა

მიწა ადამის სახლია, სახლია უფლის ძღვენისა,
დაიბადება პატარა, წყალობა ზეციერისა,
მამას მემკვიდრე ახარებს, ქალი სითბოა დედისა,
მიწას სიცოცხლე იწყება, ანგელოზია ზეცისა.

პატარას საქმე პატარა, მივა წყაროსა მკერდისა,
იცის სახლი აქვს საფარი, ციხეა კალთა დედისა,
ანგელოზთა ხმა დილასა, საღამოს დედა მღერისა,
ვედრება იავნანაა, დალოცვა შვილის ბედისა.

პატარა ანგელოზია, წმინდაა წყარო მკერდისა,
ანგელოზები ლოცავენ, ესმის გულისხმა დედისა,
ფური ზვარია პურისა, ნაყოფი ხარის ქედისა,
ძღვენსა უფალი გვიბოძებს, დალოცვა უნდა დედისა.

სიცოცხლე კაცსა ებოძა, წყალობას ხელი უფლისა,
მშობელი უფლის ხელია, დაცვაა მოსვლის წესისა,
მცნებასა დაწერილია, წყალობა მადლიერისა,
დედისა იავნანაა, გალობა მადლი ზეცისა.

თაკარა ზანთა პაპისა

კავკასიონი სახლია, ქედი კაცისა ხელია,
დასავლით ხარის კავია, თეთრი კაცისა ცერია,
ამირან ზანთა გმირია, ზანთა პაპის მთა ჩერია,
მთას მიჯაჭვული გმირია, სამი ათასი წელია.

პაპა ხიზანი ყოფილა, კაცი პირველი მოსულა,
საზღვარი დაუდგენია, კავკასიელი ყოფილა,
კასპია კაცის წყალია, დასავლით ზაქი წოლილა,
სამარიელთა სახლისა, გულს დარდი გამოყოლილა.

ასურეთს ცხენით მისულა, ცხენდაცხენ დაუძლევია,
ზანთა ზეგანის სამხრეთი საზღვარი დაუცველია,
მოუყვანია ხეთები, პატრონად დაუდგენია,
ექვსასი წელი გასულა, უკან არ დაუხევია.

ბედი მუხთალი, ვერაგი, ექვსასი წელი ელოდა,
ხეთთა სამეფო გაზრდილა, ქართლოსის მოდგმა შველოდა,
თურმე რამზესსა ცოდნია, თურმე ამ დღესა ელოდა,
აღმოსავლეთი გაშავდა, ზანთა საზღვარსა ბნელოდა.

ფარაონს გაუმარჯვია, ეგვიპტელთაგან ძლეული,
ზანთა მიწასა მისულა, ხეთი ხიზანად ქცეული,
ამაყი ხალხი ყოფილა, თავისუფლებას ჩვეული,
ზეგანის სამხრეთს იცავდა პატრონად გადაქცეული.

ხეთთა სახელი დიდია, სახელოვანი მოდგმისა,
სახლის სახელსა იცავდა, დადგა თაკარა ლომისა,
ქვა ზეციური ხარისა, სახლსა გასცქერის შორიდან,
ფარაონს ხელთა უგდია, დარჩა წყურვილი ბრძოლისა.

ხეთი მებრძოლი კაცია, ბედმა მიწასა გაჰყარა,
ეგვიპტეს იყო ხიზანი, ლომი ქვიშითა დაჰფარა,

მეორედ გახდა ხიზანი, ხმალმა ვერასდროს დაღალა,
ექვსასი წელი გაუძლო, მთები აქცია საფარად.

მისულა ზანთა მიწასა, ხიზანი მიწას ჰაოსის,
ხარი ხარისა ტოლია, კახი ყოფილა კახოსის,
დიდსა პატარა შეზრდია, პატრონი მთის და წყაროსი,
კავკასიონი დაიცვა, დადგა თაკარა ქართლოსის.

მყინვარწვერს კაცის სახლია, მთას აზიდული თავია,
ზეციურ ხარსა გასცქერის, სახლსა დარაჯობს თვალია,
ზაქსა ცოდნია სიმაღლე, ოსტატთა დანათვალია,
თვალის საზომი მანძილი, თვრამეტი ცი და ხარია,

კაცი თავია მთებისა, ლომი ველებსა დარაჯობს,
კავკასიონი თეთრია, ხარი ფერია უდაბნოს,
ჭაღარა პაპა ქართლოსი, პაპა მოდგმითა ამაყობს,
კაცია სახლის პატრონი, არ დაიქცევა არასდროს.

თურმე ნაბიჯსა ითვლიან

სიცოცხლე უფლის ძღვენია.უფლის გზას განსაცდელია,
ცხოვრების ორომ-ტრიალი, გზანი მოკლე და გრძელია,
ცოდვილსა ცოდვა ამძიმებს, ცოდვის გზა დასაძლევია,
აქლემი ტვირთსა მიათრევს, უდაბნოს მიწა ცხელია,

ვაჭარი აქლემს იყიდის, აჰკიდებს ტვირთსა საპალნეს,
ქარავნის გზასა დადგება, გზის ბოლოს იწყებს სათავეს,
უდაბნოს ქვიშას ამარცხებს, გზის პირსა ჰპოვებს სამარეს.
აქლემი ლეშად იქცევა, მძორს მიწას ვინ მიაბარებს?

აქლემის გზაა ცოდვილი, სხვის ტვირთსა ზურგით მიათრევს,
სანამ საზიდრად ვარგია, საფასურს არვინ მიართმევს,
თუ დაეცემა ბეჩავი, გზის ბოლოს თუ ვერ მიაღწევს,
უვარგი ხორცი მძორია, სულსა ვერაფრით მიარგებს.

ყველა გზა ბოლოს თავდება, მოქიშპე მტერი ზავდება,
ცხვარი ბეკეკა წყნარია, თურმე განსაცდელს ავდება,
ზაფხულსა დარი გრძელია, დრო მოვა წავა, ავდრდება,
ზეცისა მძლევი არწივი, კვდება, მიწასა ვარდება.

ცხოვრება ცივი საწუთრო, თურმე ყველა გზა იციან,
სიცოცხლე გზაა მგზავრისა, თურმე მოდიან, მიდიან.
გზის პირსა ქვანი უსულო, დრო მოვა მუნჯნი იტყვიან,
მგზავრისა გზასა ზომავენ, თურმე ნაბიჯსა ითვლიან,

მღვრიეთა მოედინება

მთის ძირსა ნაკადულია, აპკურებს ვისა სწყურია,
წყარო ცივი და ანკარა, ცოცხალი მთისა გულია,
გულიდან გადმონადენი, სიცივით დატანჯულია,
გზას მირაკრაკებს ეშვება, დიდი გზა გამოუვლია.

ბუნების შვილი ცივია, მთის უკარებას ჩივიან,
დაბადებიდან წმინდაა, ტანით ფეხამდე გულია,
ძირამდე წმინდა, სპეტაკი, არა სჭირს დამალულია,
თუმცა სიცივეს უძრახვენ, მიდიან წყარო სწყურიათ.

ნაკადულების რაკრაკი, მოგესმის, გულსა ახარებს,
ბალახი ცივი ფერია, მოკვდება-თბილს მიაკარებ,
ცივ სისხლიანი ბიბინებს, ყვავილსა ჩამოატარებს,
ბარს მიაცილებს ნაკადულს, მთისა სიწმინდეს აბარებს.

ვაკესა ერთვის მდინარეს, მთის უკარება მგზავრია,
ნაპირს მიჰყვება უცხოა, თუ გადარჩება კარგია,
მდინარე დიდი წყალია, დიდი ჰქონია დარდია,
თანდათან ბიწი შეჰყრია, სიწმინდე დაუკარგია.

მიდის ბიწი და ბალღამი, ვერვინ ამოსდო ლაგამი,
ტლაპოს, ტალახის ტრიალი, დინებას ცოდვა ადამის,
მიედინება მდინარე, ცოდვა პაპის და ნაგრამის,
მთის ცოდვას ბარი ინახავს, მთა რჩება ცამდე მართალი.

კიბესა

ლხინისა სუფრა იშლება, ვინ გაცლის?.მოსდევს ჭირია,
უფლისა საქმე ასეა, გამოცდა გასაჭირია,
თუ განსაცდელის ჟამია, გაძლებას ძალა სჭირია,
ბედის სასწორის კიბესა, ასვლა და ჩასვლა ხშირია.

მიდის, ტრიალებს, ჩერდება, აჩქარდეს გული ძგერდება,
კიბეს აირბენს, ჩაირბენს, სვლა საფეხურსა ნელდება,
ამოდის სხივი კაშკაშა, ჩასავალს ჩადის, ბნელდება,
ყველა გზის ბოლოს ხიდია, გზის ბოლოს ყველა ჩერდება.

ზოგნი მოსვლასა ტირიან, წამსვლელნი გზასა ჩივიან,
დაიბადება პატარა, ბერდება კაცი, ჩვილია,
გავლილი გზაა მსაჯული, ფასი მცირე და ძვირია,
დალხენის ფასსა ვერ იტყვი, თუ გულით არ გიტირია.

დრო და მანძილი

კაბადოკიას ქვებია, დგანან პატრონსა ელიან,
სტუმარსა ცივად ხვდებიან, ხვედრი ასეთი რგებიათ,
თავსა მცხუნვარე, თაკარა, გულის სიცივით კვდებიან,
ორი ათასი გასულა, მესამეს მიუყვებიან.

ქვას გულსა ცივი ბუნება, პატრონის სითბო ჰქონია,
ხეთების ხელის კვალია, სხვას უსახელო ჰგონია,
რანი ხეთების სახლია, მიწას წელამდე ქვებია,
ცივად ხვდებიან სტუმარსა, მეორედ მოსვლას ელიან.

დღემდე დუმილსა იცავენ, არაფრით გაუმხელიათ,
ათასი წლისა მგზავრები, ქვისა გზა ბევრად გრძელია,
იცვლება წუთისოფელი, გზას მიმავალნი კვდებიან,
დროს და მანძილსა ზომავენ, კაბადოკიას ქვებია,

თურმე ნაპრალი ტიროდა

რა დალევს კაცის სათქმელსა, ტყუილ-მართალსა რა დალევს,
ჩივის, წუწუნებს, იზახის, სიტყვა უკვდება მდუმარეს,
ცოცხალსა ასე ჰგონია, სიტყვამ დაკოდა მჭვუნვარე,
გულსა მალამოდ აცხია, მზესავით პირმომღიმარეს.

იტყვი, სათქმელი ბევრია, ყბედსა არ გამოლევია,
მდუმარე-სიტყვის საცავი, სათქმელი დაუძლევია,
გულსა ბალღამი ტრიალებს, კარი ჩარაზო ძნელია,
მდუღარი გულსა დაგიწვავს, გადმოვა შენი მტერია.

დგას აზიდული ზეცამდე, მთასა კლდე ჩამოხევია,
მიწასა გული ვარვარებს, რამდენი დაუტევია,
მკერდსა ნაპრალი გახსნია, ტკივილსა გაუწევია,
კლდეს ცრემლი ჩამოსდიოდეს, როგორი დასაჯერია.

ქვის ჩამოვარდნას ძრახავენ, ითმენს ამდენი წელია,
პირსა ქვა მოსწყდა სათქმელი, გზის უკან დაუხევია,
ზაქსა ამბავი მისვლია, ქვა კლდისკენ გაუწევია,
ყბედმა რა იცის სიტყვისა, ყაყანი აურჩევია.

წავა და მოვა ზამთარი

უდაბნოს პაპანაქება, ქარი და თოვლი ხარებას, მოვა და
წავა ზამთარი, ცივის და ხვატის დარებად, ზაფხულის
კვალსა დაფარავს, თოვლი გზას მიეძალება, ხარებას
ქანცი უწყდება, სველ მიწას მიებარება.

ზამთარი გზასა ტრიალებს, მოსვლა და წასვლა წესია,
ბებერი თოვლის ხრაშუნი, მზეს ემალება ხევშია,
ზაფხული დროსა იპარავს, ამოსვლას ლამობს თესლია,
ზვარისა ყანას თავთავი, ფერდებსა ეკვრის ფესვია.

მოვა და წავა ამბავი, ახალი ძველის მდევია,
მცირე დარჩება ხსოვნასა, ბევრი ვერ დაუტევია,
მოსულა კაცი მიწასა, ზამთარ-ზაფხული სწვევია,
წასულა კაცის სტუმარი, მერე კაცს გაუწევია.

მოდის და მიდის ზამთარი, ბუნებას ასე სჩვევია, ამბავსა
მოკლავს წვევისა, ზამთარი ზამთრის მტერია, სახლს
ნასახლარი მოჰყვება, ნასახლარს ჩადგეს კველია,
ბუნება მბრძანებელია, კაცი მცირე ხნით სწვევია.

ხსოვნასა მეფისა თამარისა

ხსოვნას სახელი დავარქვი, სახელი ვარქვი ქალობას,
ტაძარსა ზარი დავრეკე, თამარის ხსოვნა გალობას,
მეფისა ხელი დავარქვი, ქვას მივაბარებ წყალობას,
მზეს სილამაზე წავართი, დავარქვი თამარ-ქალობა.

წყაროს პირს ჭალა ბიბინებს, ყვავილთა კონა ჭალობას,
ირმების ზამთრის საძოვარს, კაბისა ქარგი დარობას,
ფერთა ჯარია ზაფხულსა, ყვავილთა ფერის ცვალობა,
ხიდის თაღს თვალი ათასი, ჰკვირობენ თამარ-ქალობას.

რუსთველის ხელსა ლოცავენ, კაცისა მოდგმის გვარობას,
ბუნება ფერხთა მიუსვა, თურმე რამდენსა წვალობდა,
ვეფხისა ტყავი დაიცვა, ლომი ბოკვერსა ხარობდა,
ათასი წყალი წავიდა, გადარჩა თამარ-ქალობა.

ამბობდა ფიფქები

თურმე ამბობდა ფიფქები, თეთრი ვარ თეთრი ვიქნები,
თბილსა არ მივეკარები, მექნება თბილი ფიქრები,
აივნებს ჩავალ ფარფატით, პატარებს გავაკვირვებდი,
მიწას არ მივეკარები, ტალახს არ გავაცივებდი.

პატარა კაბას ჩავიცვამ, დედოფალს გავაკვირვებდი,
მივეპარები პატარას, მზესავით გავაცინებდი,
დაძინებამდე შევუვლი, სიზმარსა გავაცილებდი,
მოსულსა დავემალები, წვიმასა გავაწბილებდი.

დედამ ფერია დამარქვა

დედამ ფერია დამარქვა, პეპელას კაბა ჩამაცვა, პაპამ სათვალე ითხოვა, პაპის ფარფატა დამარქვა, ბებიამ კაბა მომთხოვა, პეპელა თავსა დამასვა, თურმე ცუგასა შეშურდა, თათით მისმევდა ტალახსა.

პაპის ფარფატა ვიქნები, ბებოს ვუმალავ კაბასა,
დედამ ფერია დამარქვა, ჩავეხუტები მამასა,
ცუგას არ მივეკარები, მანამ დედიკო დაბანსა,
პეპელას კაბა მაცვია, პეპელა ვართობ პაპასა.

დაიკარგება მუზები

თუ ქალსა გაებუტები, შორს წახვალ გაიყუჩები,
სინათლეს მოერიდები, სიბნელეს აიტუზები,
სახლის გარეშე დარჩები, სიცივეს გაიბუზები,
ხელი დაჭკნება პოეტის, დაიკარგება მუზები.

ქალსა თუ ჩაეხუტები, ვით ლეკვი ელაქუცები,
გზას მიმავალი დარჩები, ქუჩასა შეცლის ქუჩები,
სხვის სახლსა სხვისი სტუმარი, სხვის ხმასა გაიყუჩები,
წინ წახვალ წყალი, მეწყერი, უკუ სვლით დაიღუპები.

თვითონ არ ვიცი რა გითხრა, ჩავეხუტ-გავებუტები,
შორს წავალ, ლაგამს მოვზიდავ, ახლოს ვარ, გავექუსლები,
სახლს მივალ ყინვით დამზრალი, დამთბარი გავეშურები,
ავან-ჩავანი მოგიყვე, მოვა დრო დავეყუდებით.

ბედიას ხარი ყოფილა

ძველმა მომიყვა ამბავი, თურმე უთქვია მართალი,
ხობის წყალს არა ვყოფილვარ, ვერცა ენგურსა წავალი,
ბედია მტერმა წაიღო, წილი ჰქონია ნაყარი,
რიონი სახლი ყოფილა, ტეხურას ორი ძნა-ხარი.

ტოლი ტოლს ეძებს ვიცოდი, ერთად რქმევია ტოლები,
ძველსა მოვისმენ ამბავსა, ხილვამდე დაველოდები,
პროკოფის ვით დავუჯერო, უთქვია მართალ-ჭორები,
ჯერ ფაზისიო ამტკიცა, მერე ჭოროხის გორები.

ლაზიკა არა სცოდნია, ლაზიკე დაუწერია,
რიონის წყალი, ფაზისი, ფასისი დაურქმევია,
მოედინება ვაკესა, თქვა ქარაფები ჰქონია,
დიდები აურევია, პატარა შეუმჩნევია.

ვით დავუჯერო პროკოფის, ქართული არა სცოდნია,
ბერძნულად დაუწერია, ა და ე აურევია,
რიონის წყალი ვაკესა, კლდის წყალი გაურევია,
თურმე სტრაბონმა დაწმინდა, პროკოფის აუმღვრევია.

რას ჩაგვაცივდა არ ვიცი, საცივის წყალის მდომია,
ბერძენთა მიწა დიდია, სახლი მცხუნვარე ჰქონიათ,
არ დაიშალა, მოვიდა, ცივი მთა მისი ჰგონია,
ეგრისი კვალი წაშალა, ლაზიკე მოუგონია.

რომი ოცდაათს ითვლიდა, საზომად სტადიონია, მას
ოცდაერთი აკმარა, დამცრობით გაუზომია. რომის
საზღვარი დაამცრო, ეგრისის ჯავრი ჰქონია, მტერი
იყო თუ მოყვარე, ხელახლა გასაზომია.

მოუთხოვია გურიას

ლიხი სახლია ლომისა, დასავლით დაბლა ურია,
ლომი ხეთების ხარია, კოლხა ლომისა ფურია,
ზანთა ზეგანი ლიხია.დაბლა მთა ხეთთა, გურია,
ლიხის მთა დიდი სახლია, პატარა ლიხაურია.

გიურ ხეთების ხარია, დიდია ხარი დაბლობის, ური
ევფრატის ვაკესა, გიურ რიონის მაღლობი, ეგრისი
ქველის ხელია, შუბია რომის გაყოფის, კოლხას
რომისგან იცავდა, ვითა მალამო დაკოდილს.

იბერი გეტყვის ძველისა, ვით ცხენი ფარსმან ქველისა,
ზოსიმე იცავს იბერსა, ხარია წმინდა ბერისა,
დაბელის ხელი ზაქია, დიდი ხმა რუსთაველისა,
დასაცავია სახელი, სახლი დაბელის, ტბელისა.

ეღიმებოდა ფიროსმანს

აღა გევორქა აგებდა, მანამდე თვალით უნახავს,
სახლსა კი არა სასახლეს, სრა მარმარილოს, მინანქარს,
მეფის საკადრი ყოფილა, მეფის ნაცვალი მინახავს,
ეღიმებოდა ნიკალას, ჭერსა უყოფდა ნიავ-ქარს.

სახლი, სასახლე დარბაზი, ვით დედოფალი კალმასი,
გზას უკარება ქალწული, ასხმული ოქრო, ალმასი,
ეღიმებოდა ნიკალას, ხელსა მეთევზის კალმახით,
ჩემი აკტრისა მერჩივნა, ფუნჯით ნაგები, ამაყი.

აღა გევორქას დუქანი, დახლი გრძელი და მსუქანი,
დახლიდარების სამეფო, სოვდაგარების უბანი,
აკტრისას ელოდებიან, სასურველია სტუმარი,
ეღიმებოდა ნიკალას, აღა გევორქას უთხარით.

ჰო და ხმა იყოს ციალის

მთათა შევდექი სერებსა, ნისლი ეყარა ფერდებსა,
ვიცოდი ვერვის ვნახავდი, თალხი ეფარა ველებსა,
ცივია მთათა სიჩუმე, სიცივე ხატავს ფერებსა,
წასულან მამა-პაპანი, ქარი ზუზუნებს ხევებსა,

სამარის ქვები ფერდობსა, ნისლის ნაფლეთი ემოსა,
დაბუდებულა სიკვდილი, კარგავს სიცოცხლის გემოსა,
მთის წვერსა ალყა ნისლისა, ცდილობს, მიიწევს ზემოსა,
წვერსა სასტიკი ბრ(ო)ძოლაა, ნაფლეთ-ნაგლეჯი ქვემოსა.

წამით თვალი მკრა მიმავალს, მიხვდა ცოცხალი მიწა ვარ,
თითქო ძარღვები აენთო, თურმე იცნობდა წინაპარს,
ვითა სარტყელი მოიხსნა, ნაფლეთ ნაფლეთად მიყარა,
გამოაჩინა, მომართვა, მზე სერსა გადმოიყვანა.

სამარის ქვათა ღაღადი, ხმა შეინახა მიწამა,
სიკვდილი უკან იხევდა, სი(ს)ცოცხლის ძალა იწამა,
თეთრ წვერსა ცრემლი დამალა, ღარებსა წმინდა ბზინავდა,
მთათა მესმოდა ზახილი, მიხმობდა, არ დაიღალა.

პატრიკიოსსა პეტრესა

მინდა დავიცვა პირობა, მენანდრე ამას ჩიოდა,
პეტრეს ელჩობა იგავი, იბერის სისხლი ყიოდა,
მოუტანია ლაზიკე, თურმე სვანეთი სტკიოდა,
წასულა პატრიკიოსი, გზას ელჩი მი-მოდიოდა.

ცამეტი წლისამ ფაზისის, ხერხმა დასძლია დემონი,
პატარა კაცმა დასძლია, პომპეუსი და ნერონი,
ფასისსა ზღვარი გასწია, როდოპოლისსა ჩერონი,
ბიზანტია და სპარსეთი, ამბავი მენანდრიონის.

თუ გამოგარჩევს უფალი, ზეცასა ნება თუ არის,
გზას გამორჩეულს გიბოძებს, გამორჩეული სტუმარის,
მანამდე ხელუხლებელის, მზისა ვერ გაუხუნარის,
დაუძლეველის დაძლევა, სიცოცხლე ელჩი უფალის.

ვით უფლისწული ქარაგმას, ხელი ქურუმის, რიტორის,
პატრიკიოსი პადრია, წმინდა მამაა თაბორის,
იბერიელთა მოძღვარი, ური და რუა მთა ორის,
უფალმა გამოარჩია, სახლია ამ-ბა-სად-ორის.

ქალკედონს კრება გამართეს, წაღმა მოუგეს დაღმართებს,
მერე ევტიხი, ნესტორი, სამ გზასა ერთი წარმართეს,
ბრძოლა წესების გარეშე, ცრუ ასპარეზი გამართეს,
მივიდა ვითა სარდალი, წესი აუგო წარმართებს,

ზარია ბოლო ჟამისა

პაპის ქარაგმა ვიპოვე, თურმე ქარაგმა ხიდია,
ვით ანგელოზნი მოდიან, ვითა ცოდვილნი მიდიან,
გზაგასაყარსა მდინარე, გადასასვლელი ხიდია,
ქარაგმა ხიდი დროისა, დროთა მდინარეს ჰკიდია.

ვესაუბრები პაპასა, მეტყვის ამბავსა წინარეს,
არსად სჩანს ხიდი, ნაპირი, არცა დრო ჩამომდინარე,
ხმასა ზახილი დავარქვი, ვით გაიგონოს მძინარემ,
ხიდისთავს პაპა მიღიმის, ვით ქურდი გადმოვიპარე.

ვიპოვე პაპის ქარაგმა, ვით საგანძური ვიპოვე,
დროს სამალავი ჰქონია, დამალვა დროთა სიშორე,
ქარაგმა დროთა ხიდია, გარდასულს ვინ მოიპოვებს,
თუ მოისურვა პაპამა, გასაღებს გამოგიწოდებს.

ზარია ბოლო ჟამისა, ხმა ჟამი ბოლო ზარისა,
ამოუცნობი იცნობა, დღეს მოვარდება ხვალისა,
მეოთხე ჟამი დაიწყო, გზის ბოლო დასაბამისა,
დამალა პაპის ქარაგმამ, ფარდამ დამალა თვალისამ.

ვნება წავართვი ნებასა

დაუდგენია გამჩენსა.ვნება მიწასა დარჩესა, ვნება
ცხოველი ნებაა, ცხოველი ვნებას არჩევსა, ცხოველი
ნებას მორჩილებს, დაემონება მარჯვესა, ვნება,
ცხოველი ბატონი, მიელტვის სუსტის მხარესა.

ვნება ითხოვდა დანდობას, ვიწრო გზას გადავეყარე,
თავი მეგონა ბატონი, ფართო გზა გამოვატარე,
ნება ითხოვა კაცისა, სახლი უნდოდა სავანე,
ვნება წავართვი ნებასა, მიველ პატივსა გავყარე.

ვიცოდი კაცი იტყოდა

პაპამ თქვა: კაცი იღვწოდა, ხელისა ფასი იცოდა,
ვიცოდი სახლსა იცავდა, ვით მეომარი იბრძოდა,
ბოლომდე სიტყვის ერთგული, სახლსა გალობა ისმოდა,
ფასი იცოდა კაცისა, სახელსა ბოლოს იტყოდა.

იცოდა ზაქის სახელი, იბერთა სახლი იცოდა,
ცივი, ღართა და პანთახი, ორ ზღვასა წყალი ვიდოდა,
წყალის გზა ხარის კვალია, იბერთა მიწა ირწყოდა,
ორი ღარის გზას თავია, არსიანს გადმოვიდოდა.

თურმე უთქვიათ ქურუმთა, ქარაგმას ასგზის უქიათ,
გზასა, ტაძარსა, წყაროსა, ხარებსა გამოუვლიათ,
ცურტავი, ღართა, ფურთავი, რუსთავის რითმა უგიათ,
ტბელი, ზაქი და იბერი, ცოდნიათ ვერ გაუგიათ.

გაყიდულია სამყარო

ენასა კარგავს, იშლება, მეტყველი ვიღა იქნება?,
ცოცხალის ლანდი გადარჩა, გონი, გონება იცლება,
შემყურე სხვისი ხელისა, გადაკარგულა ღირსება,
გაყიდულია სამყარო, ველსა ხალხია ჩრდილებად.

ყველა პირისა პირობად, მოსულა კაცი რკინისა,
მიწა, ზვარი და სარწყავი, მივანდეთ დაცვა ბინისა,
შეკრიბა ყველა ამბავი, უკან მომავლის, წინისა,
სახელი კაცთა მოდგმისა, დასათმობის და წილისა.

აუკიდია ხორაგი, გზას მიდის რკინის კაცია,
ხურჯინი ყველა ამბისა, თან მიაქვს, გზას გაიწია,
მიბარებულსა იცავსო, მგელის იგავი იციან,
გაყიდულია სამყარო, გასახლებამდე იცდიან.

სარკემ თქვა

წიწამურს ტიტას ჭალები, თა ხევსურეთსა ქალები,
ციხეგოჯს რკინა-კარები, იყალთოს რეკდა ზარები,
ცხრა მუხლას ფიცის კაცები, დიდგორსა მათი ხმალები,
მოსაყოლ-მოსატანია, ძველების დანაბარები.

ამბავსა წაშლის მტარვალი, სიბრიყვით, მტერის ბრძანებით,
სულგაყიდულთა გზებია, გირჩევ ნუ მიეკარები,
ათასგზის გაყიდულია, ფერდი, მდინარე, ჭალები,
მომხვდურის მომხვდურს ჰქონია, დაუხნავს პაპის ზვარები.

მომხვდურის მერვე თაობა, მოსვლისა რიგსა დავობდა,
მეექვსეს მოდგმა განუდგა, მეხუთე ჩუმად ხარობდა,
მიწას, დიდებას ნაჩვევსა, ძველი მოსული ცხარობდა,
მომხვდური ძველი, ახალი, ბრძოდა, მოსპობას ლამობდა.

იბერთა მიწას ცილობა, ვინ იცის ზანთა გმირობა?, ვინ
იცის ფასი სიწმინდის, დიდება წმინდა ქალობას,
ტაძარის დამაქცევარი, ვერ ეღირსება გალობას,
დიდება უფლის სამართალს, ნებასა უფლის წყალობას.

ვით წმინდა ძღვენი მოგვართვა, პაპა იღვწოდა, ხარობდა,
მადლიერებით გალობდა, პაპას უფალი სწყალობდა,
დადგა დრო განსაცდელისა, სული დაცემას ჩქარობდა,
მომხვდურსა მოჰყვა მოსული, დამხვდური გზასა ლამობდა.

რას ვეტყვით პაპის პაპასა, რა დაგვემართა, რა მოხდა?.

რიგია

თურმე უთქვია ბრძენთა ბრძენს, კაცის გონებას ბინდია,
ათასჯერ ბობრუნებული, ათას გზის გაუყიდია,
იციან წმინდა წერილი, წმინდანთა გზები იციან,
სატანის სახლსა რიგია, გუდა-ნაბადით მიდიან.

სატანას სახლი, სასახლე, უზარმაზარი წიგნია,
მსურველთა სამართალია, ქარვასლას კანონს ჰყიდიან,
ბანგი, ბახუსი, თრიაქი, ძე შეცდენილთა რიგია,
აღვირთა ახსნა, აზარტი, მონობენ, სულსა ჰყიდიან.

სატანას დაუჩივლია, ვერ ავუდივარ რიგსაო,
კანონი ახალ-ახალი, რიგდება გზასა, ხიდსაო,
რა მოვითხოვო არ ვიცი, იხდიან ბევრად ძვირსაო,
რიგია თვალუწვდენელი, მოდიან, ყრიან წილსაო.

თავისა სახლსა ჰყიდიან, სატანის თავლას მიდიან,
სიხარბის ზვარსა თესავენ, თავლას ათასგზის იმკიან,
სატანის თავლა ბრჭყვიალებს, თავიდან ძვირსა იხდიან,
გუდა-ნაბადით მისულებს, გროშად მონებად ჰყიდიან.

დაღამებულა გონებას, ათასწლოვანი ბინდია.

სი სახლი

პირველად სიტყვა ყოფილა, წმინდა წერილსა სწერია,
სიტყვა სახლისა ზომაა, სახლზედა დიდი სჭერია,
სიტყვას პატრონი სჭირდება, დღემდე ვერ დაუჯერია,
სახლი საფარი ჰგონია, სიტყვა სახლისა ჭერია.

სიტყვა ბურჯია სახლისა, ძირი მედეგი, კველია,
უპირო სიტყვა სახლია, უკარო დაუცველია,
მანამდე სახლსა არქმევდა, უთქვია სიტყვა ძველია,
სიტყვა დარჩება ძვირია, სიტყვის პატრონი ქველია.

სახლი ფასია კაცისა, კაცს დასაცავი ჰგონია,
ზანთა პაპასა უთქვია, სიტყვა სახლისა ტოლია,
სახლსა და სიტყვას სი ერქვა, ნიშნად ტოლობა ჰქონია,
სახლი დარჩება მიწასა, პატრონსა სიტყვით სწონიან.

ორპირი კაცის ქონება, უკარო სახლი ბევრია,
შედის და გადის ზუზუნებს, პატრონის ხელსა ელიან,
უპირო, სიტყვა მრავალი, ქონება დასაცველია,
ფასია გადასახდელი, ვალი სახლისა ძველია.

სიტყვის პატრონი, მდიდარი, სახლი, სასახლე მისია,
ფუძე და კველი მედეგი, ეზო და კარი მტკიცია,
ფასდება კაცის სიმდიდრე, კაცის სიმაღლე იციან,
თან გაჰყოლია სიმდიდრე, კაცსა პირობა უთქვია.

არ თქმული

საოცარია სამყარო, ზამთარს აცილებს ზაფხული,
ჩაუსაფრდება ზამთარი, ხრამების ძირსა გართხმული,
ხელსაყრელ დროსა დაეცეს, ქარ-ბუქით გადამალულით,
ვერ გაუმკლავდეს ვერაგსა, სითბოს ერქმევა წარსული.

სამყარო წრეზე ტრიალებს, ბრუნდება გადაკარგული,
ვარდი, ასკილი ყვავილობს, გამოჩნდა თოვლსა დაფლული,
ზამთრის სიავეს „ივიწყებს“, დარბაისელი ზაფხული,
ნეტა რამდენსა დაიტევს, ტკივილსა, სიტყვა არ თქმული.

თოვლი ვერ მოშლის სიცივეს, სიცივე თავის სიმძიმეს,
თანდათან სითბოს წაიღებსა, დაკარგვას გამოიტირებს,
ვინცა გაუძლებს იხილავს, სიტყვის, ნუგეშის სიმცირეს,
სამყარო დაპატარავდა, სპილო კურდღელთან იძინებს.

აწმყოს წაიღებს წარსული, დარჩება სიტყვა, ართქმული,
მოატრიალებს, წაიღებს, დაცხრება ზღვარგადასული,
სითბოსგან გული იცლება, სიცივე ხდება დასტური,
თანდათან თოვლსა მოიტანს, თანდათან წავა ზაფხული.

ვენერა

ცის კაბადონსა ვარსკლავი, ცასა ჰქონია ზამთარი,
დაუღამდება მიმავალს, გზას ურჩევნია საფარი,
დილამდე გამოიძინებს, სამიზნე მგელის, აფთარის,
თუ გადარჩება მგზავრია, მიწას გრძელდება ზღაპარი.

მიმავალს დაემალება, ღამის მეგზური ცას არი,
მგზავრი ღამესა ისვენებს, საფარსა მუხის, ჭადარის,
გაღვიძებამდე წასულა, ცა გადაქექო არ არის,
ვენერას ჰქვია მეგზური, გზას მიმავალის ვარსკვლავი.

ცასა ვენერა ერთია, ღამესა მოსვლა წესია,
ღამე ვენერას მთვარისა, დილას მგზავრის და მზესია,
გზას მიმავალი ბევრია, ღამე ცას დაუთესია,
მიწასა ბევრი ვენერა, ვერ მოერევა მწყემსია.

ხარაკირი

და მომავლინა მიწასა, დამბადებელმა დამბადა,
სახლი, სადგომი მიბოძა, მამისა პირმშო გამხადა,
სიცოცხლის ფასი დიდია, მიწას მარგუნა ავანსად,
გამაცნო აზრი არსების, მეგონა კაცი დამსაჯა.

სიცოცხლე მოგებარაო, სხვისას ნუ მოიპარავო,
ნურცა გაფლანგავ, დახარჯავ, იღვაწე გვერდით გყავარო,
ეცადე სძლიო სიხარბეს, სატანამ მოგიტანაო,
ერიდე ამპარტავნებას, საცდურად მოგეპარაო.

ცდუნება კაცის ტვირთია, სუსტი შეცდება ბრიყვია,
შენი მოვლენის მისიას, მიხვალ გზის ბოლოს, იტყვიან,
უფლის გზა აგირჩევია, ხარაკირია მისია,
გზასა სატანის ჯარია, შენსკენ ისარსა ისვრიან.

არ დაგინდობენი იცოდე, ბრმანი ორმოსკენ მიდიან,
ვაცის ძე წინამძღოლია, ცისა და მიწის იციან,
ზიარებამდე ჰგონიათ, კაცი ჩაქოლვის ღირსია,
სხვა გზას აირჩევ, დაგსჯიან, შენი ცოდვის ფასს იხდიან,

ხმა ხეთთა ლომისა

ბაბილონამდე ეგვიპტეს, სახლია ხეთთა ხიზანის,
წაშლილა კვალი, ამბავი, უდაბნოს ქვიშას ნიშანი,
პირამიდები უგია, ზანთა ხელწერა ვიცანი,
ცოდნია ხეთთა ხელმწიფეს, ცამდე ატყორცა მიზანი.

ეგვიპტეს ყველა პატრონი, ზანთა ხელმწიფე წინ არი,
პირამიდების აგება, ზანთა ამბავი გითხარი,
პირველი დევის დედაა, პირველი ქალი ის არი,
პირველი ქალის სახლია, ბაბილონს ბაღი ნიშანი.

თურმე იბერსა ცოდნია, მოძღვარი დიდი ის არი,
ცოდნია ზანთა ამბავი, ცოდნია ხეთთა იგავი,
ისიდას პირამიდები, ბაღები ზანთა მიბაძვის,
ხეთთა კაცს დაუმალია, სფინქსი ხელია ხიზანის.

სახლი ისიდასი

შუამდინარეთს ხეთები, ურის გზას დავეხეტები, ზანთა
გზა პირამიდების, ბაბილონს კოშკის სვეტები. ცი და ის
რყევა მიწისა, ველი ასაკი კედელის, წარღვნასა თაცი
გადასცდა, დადგეს გოდოლი მედეგი.

პირამიდები პირია, შინ მივა ზანთა მწირია,
თურმე ას-ური გაზრდილა, წარღვნას არ გაუწირია,
სამი კაცისა ასაკი, სამივეს ერთი პირია,
ჩამოქცეულა გოდოლი, სამ კაცსა დაუტირია.

ცას აზიდული წაიქცა, სახლი სატანის დაიქცა,
გზების არევა მიწასა, ვერავინ დარჩა, წავიდა,
სამასი წელი პას-ითა, წიპწა და ღვინო თას-ითა[1],
ასაკი პირი კაცისა, პირამიდების დადგმიდან[2].

დასრულდა აია-სოფია, თაღია პირამიდები,
ზომა ასაკი სახლისა, დაიცვა დანაპირები,
პირი და სიტყვა კაცისა, დარქმია ხელი იბერის,
ხეთთა და ზანთა მოდგმამა, დაიცვა გზა და ხიდები.

---

[1] - პირამიდების აგების თარიღი დასაბამიდან (3113) წელი ყოფი-ლა. სახელი ქარაგმაა თარიღისა (პი-რა-მი-და).(30;10;23;8). (მი; და)ს ქარაგმა ჩემი ცო-ლია.იგივე ფასი(ფური) ხარისა. პირამი-დების აგებიდან (155) წლის მერე ყოფილა წარღვნა.(110) წლის მერე აუგიათ გოდოლი ბაბილონისა.(65) წელი გაუძლია კოშკსა სატანის სახლისა. ბაბილონის გოდოლის დაქცევიდან (331) წლის მერე ქართლოსი მისულა ზანთა ზეგანსა. ბაბილონის გოდო-ლის დაქცევიდან (549) წლის მერე აუგიათ ზიქურათი (ურ)ისა.დასაბამიდან (3992)წ.

2 - 3028 (2491: 537)

სახიერი და უსახო

ცრუპენტელობას ვეჩვევი, ვეჩვევი ცრუთა მწყემსობას,
ვიცავ სამართალს უმართლოს, ვაქებ ცრუს ენამზეობას,
წესად ვაქციე ყაყანი, დავნებდი ცრუთა ტყვეობას,
სიმართლის სახლი დავკარგე, დავარქვი სახიერება.

წმინდათა წმინდას ვინა ცნობს, ვინ იტყვის წმინდა ხატებას,
მანამ დაიქცა წავედი, გზას დავგმე გადაგვარება,
ძირი და ფესვი მიხმება, წყალს გაღმა მიმეჩქარება,
მითხარ უსახო ვითა ვთქვა, ვითა ვქმნა სახიერება.

ბერწი, კურატი, უძირო, თუ უცხო გადავიბირო, გზა
მიმავალი დავკარგე, ვინ გაიგონებს ვიყვირო,
ქალაქს კურატი ქალები, სოფელს სახლები უშვილო,
თესლი ნაყოფსა მოიმკის, სამყარო ცრუა, უპირო.

ხელი რიტორისა

მთათა სიწმინდეს ლოცავენ, ბერები ტაძარს მოსავენ,
სანთელ-საკმეველს იპოვის, მივა ვედრებას აღავლენს,
დადუმებულა უდაბნო, მწირთა ნაკვალევს ხედავენ,
ქვათა ღაღადი ძველია, ვინ იცის ხმათა სათავე?

თუ ზეცამ ამოირჩია, ქვაბსა იპოვის მწირია,
მადლიერება ბერისა, ქვაბსა სიმდიდრე ძვირია,
მწირთა აირჩევს უფალი, მწირი უდაბნოს შვილია,
ცასა ბერების ხმა ისმის, უდაბნოს აუზიდია.

სინელი, საბაწმინდელი, თაბორსა ხმაა იბერის,
ასურეთს ხმაა ლაზისა, ზეგანსა პაპის სიმღერის,
გარეჯსა, მარტყოფს, ზედაზენს, მცხეთასა შიო მღვიმელის,
სინას მთას ხმაა ზაქისა, ნაღვაწი ტბელის, ივერის.

დარჩება დასარჩენია

მთას შეუნახავს სიწმინდე, წმიდა დარჩება სიკვდიმდე,
თოვლი წვერია კაცისა, სიცივე ბილწთა ირიდებს,
მდაბალნი მთასა სწყევლიან, დაგმობენ კაცის სიცივეს,
მთათა სიმაღლე დარჩება, ბარსა აკმარებს სიმცირეს.

მთათა წვიმა და მეწყერი, ვითა განბანვა ბებერის,
მოსწყდება მოდის ტალახი, გზასა ხრამი და კედელი,
კლდეთა ორპირი ბზარები, მოსწყდება მოსაწყვეტელი,
ბარს მიაშურებს ჩერდება, დაიდებს დასადებელი.

გადასარჩენი გადარჩა, დარჩება დასარჩენია,
დრო წასაღებსა წაიღებს, მისხალი არ დარჩენია,
დასამარხია დამარხავს, გაჩნდება გასაჩენია,
ბუნება მბრძანებელია, ვიწამო რა დამრჩენია?.

მადლითა შესაკრებელი

სატანის ხრიკი დაყოფა, წაიღოს წასაღებელი,
სუსტთა სიხარბე აცდუნებს, ძლიერთა სადიდებელი,
ცოდვა დაყოფა ქვა-სალის, ბზარითა გასაღებელი,
დიდია ძალა უფლისა, მადლითა შესაკრებელი.

ცოდვათა კალოს ტრიალმა, მონასტერს ნამონასტრევი,
კველსა ტალახით ნაგებსა, დარჩება მანგალახევი,
სახელთა დიდი შეკრება, ჩარხი და ნახარატევი,
კოპრიძულს კვალი წაშალა, კლდე რჩება ბანნარისერის.

ხარბალიჭალა, ახალგზა, ხარია-თაღი, პათახი,
საყავრია და სათახვე, ტყეს დამალული იასახი,
სერობა უცქერს სამზიარს, წაიღო სახლი გასავლის,
რამდენი დაუტევია, შესაკრებელსა პანთახის.

სიტყვა სახლია ძველთაგან, სახლი სახელთა შეკრება,
ცოდვითა მიწა ირყევა, წყალი ხრამს მიეძალება,
სახლი უძირო ვინა თქვა, მეწყერსა მიეფარება,
სახელი რჩება სახლისა, ჟამი ვერ მიეკარება.

დადება ფეხის ფასისა

ფასის ქარაგმა ფეხია, ფეხის დადება ფასია,
სიცოცხლე ზაქის ტანია, ჭაპანი გასატანია,
ზაქის კისერი ზურგია, ჭარმაგის სახლი ანია,
გზა გასავალი დასძლია, ქვა-ჯვარი აუტანია.

ქარავნის გზასა აქლემი, ტვირთი ფეხის ფასს გაზომავს,
გზის ბოლოს ტვირთსა მიიტანს, უკან ფასითა წამოვა,
ზაქის ჭაპანი ველია, მთას გადასული გადმოვა,
ფური ფეხია ზაქისა, მთას აზიდული ჩამოვა.

ზაქის ჭაპანი კისერსა, ფეხსა დავარქვი ცდუნება,
დიდი ჭაპანსა წაიღებს, სუსტსა ფურისა ბუნება,
დიდის გზა მთაა გოლგოთა, მორჩილი ფეხის გუნება,
ფასი ფეხია ზაქისა, გზას სუსტი დაემდურება.

ტანი ცოდნისა

შენი სახლის ქვეშ კველია, ცოდნის ქარაგმა გველია,
კველის ზურგს სახლი კაცისა, გველის ზურგს დადგა ძნელია,
დგას საძირკველი უძრავი, აბჯარასხმული მცველია,
ცოდნის ბუნება გველია, დადგეს, ვის დაუჯერია?

თუ საძირკველი ძველია, დუღაბი მოსაზელია,
ხარი თანდათან ბერდება, ნებდება კაცის ხელია,
ცოდნის ბუნება გაზრდაა, დამცრობას ცდილობს ბნელია,
გველისა ტანი იზრდება, ცოდნის აღვირი ქველია.

სატანა ბრძენთა ბრძენია, მთავარი გამოლევია,
ცოდნა კირია, დუღაბი, გველს ტანი შეურხევია,
რწმენა და სული აღვირი, ურწმუნოს ცოდნა გველია,
სამყარო ბეწვის ხიდია, ცოდნითა დასაძლევია.

ცოდნის ცდუნება დიდია, ძღვენია და-სასჯელია,
ურწმუნო სახლი უძირო, გველს ტანი გაუწევია.

ჭარსა რომ დაუტევია

ძელი, ჭიგო და ღარკავი, ჭოკსა დარქმია ხა-ჭარი,
დაბლა ხევს თურმე უმზეო, მარნებს დუღილი მაჭარის,
ჯორ-აქლემს მიერეკება, საქარავნე გზა ვაჭარის,
რამდენი დაუტევია, მთათა კალთებსა აჭარის.

თურმე ჯვარცმამდე მოქცევა, მოგვი პაპაა ფარსმანის,
ოცდათორმეტი წელია, იბერთა ტაძრის ამბავი,
ორმოცდაერთის ნათელი, ხელი იბერის ქარაგმის.
ანდრია ზღვარსა მისულა, ცივის ნათელი კარამდის.

ქურუმთა ხელი ნატიფი, ნათქვამი იგავ-არაკი,
თქმული, სათქმელი, არსია, კარის თქმას ხერხი კარ-აქი,
აჭარა დიდი საცავი, უთვალავ სიტყვა-მარაგის,
ჭარსა რომ დაუტევია, ხელია ზაქის ქარაგმის.

შეყრა თავის და ტანისა

ზაქისა სახლი ორია, ახლო მდგომი და შორია,
სიცოცხლე გზაა, მანძილი, ხარის კისერის ტოლია,
თავის და ტანის ერთობა, კისერი შუა მდგომია,
მიწას სიცოცხლე სრულდება, თავის გზა გასაზომია.

ტანი ქარაგმა მიწისა, მძიმეა, მიწას დარჩება,
დადგება ჟამი წასვლისა, გარდაუვალი ახდება,
კაცისა ღვაწლი მიწასა, მადლი ზეცასა გაჰყვება,
თავი სახლია ზეცასა, ვინცა მოიმკა დახვდება.

ქურუმთა ხელის ქარაგმა, გზა ზეციური ხარისა,
მდინარე დროთა დინება, გზა სიცოცხლეა წყალისა.
მდინარის ტანი შერწყმაა, თავის და შესართავისა,
კაცის სიცოცხლე შეყრაა, მიწის და დასაბამისა.

დაბელის სახლი დაბასა, ფრესკა თავია ზეცასა,
გზის დასასრული სამარე, დასაბამს ჰპოვებ სხალთასა,
ფურტაელ ეპისკოპოსი, გზა მოგიყვება ამბავსა,
ტაძარს მდინარის თავია, შერთვას სამარე მალავსა.

კოდორი

პონტოს ზღვა ზაქის წყალია, კავკასიონი ხერია,
ხელ-გული ანატოლია, ზღვის ჩრდილოეთი ცერია,
შუა რკალია ეგრისი, ზღვასა იბერთა ხელია,
ხელი თიხაა ხეთების, ჭურის კედელი ბერია.

კო-და, კოდ-ორი, ორ-კოდა, ქურუმთა ხელსა მოჰქონდა,
ოცდაცამეტი ცერია, ოთხ თითსა ოთხი სა ჰქონდა,
კო კარი ორი სახლისა, და-კოლხას ქალი ომობდა,
ოთხი და ერთი ხუთია, ცერი და გული შრომობდა.

ქარაგმა დიდი საცავი, კოდა ზღუდეა, დამცავი,
ორხარი რუსთველის ხელი, კოდას იბერის ამბავი,
ჭარის რიგი და კაბალა, დამცრობა ხელი პატარის,
ბერძენთა ვერ გაუგიათ, ორკოდა ორი საფარი.

არიოპაგის მოძღვრებას, ამბავსა კესარიელის,
ზოგჯერ თქმა თურმე სჯობია, არა თქმა შვება ძლიერის,
ცერის და ხელის ქარაგმა, თვალ-ფარდა გადამთიელის,
ხელი ტბელის და მცირისა, ჭარი გზა იბერიელის.

ივლიტა სახლი კვირიკესი

ივლიტა სახლი ზოსიმეს, იბერთა სახლი ივერი,
ცერია კაცის ხელისა, სახელი ზაქი იბერის,
წმინდანთა წმინდა სახელი, ზეციურ სახლსა იმღერის,
ქურუმის ხელმა შემოსა, ქართულად წყალი გი-შერის.

კვირიკე კარი, კარავი, ზანის და ხეთის ნაზავი,
კესარიელი, რიტორი, კვირიკე ხერხი დამალვის,
ლაზი მამაა მშობელი, კვირიკე ყრმაა მარადის,
ასაკი გურ-ი ქარაგმის, ველი ნი-ალ-ის მარაბდის.

წმინდა ტაძრები უგია, სახელი ვერ გაუგიათ,
დიდია მამის ამაგი, შვილისა დიდზე დიდია,
ბასილეთი და ასკანა, ცას აზიდულნი მიდიან,
წმინდა ივლიტა, კვირიკე, გზა თაღოვანი ხიდია.

ასკანა კაცის სახლია, კარსა უწოდა ან-კარა,
არიოპაგი, ბასილი, დიონოს ბრძენი თაკარა,
ლიხაური და პალია, კესარიელის თა-ღარა,
ტბელის და ზაქის ცერია, კეს-ი და პაგი დამალა.

ჩიოდა აღმოსავლეთი, ნათელი ბნელმა დაფარა,
რომი და ბიზანტიონი, ანტიოქიას ჭაღარა,
გურ-ია დიდი ყოფილა, ბეცსა ჰგონია პატარა,
ოთხი ზაქისა სახლია, გურიანთა და აჭარა,

მუშთარ, ზუალ შეიყარნეს - ფსევდო დიონისე არიოპაგელის მოძღვრების თარიღის დასადგენად ვეფხისტყაოსანის ავტორს ჩაურთავს მოვლენა. ვითა საბუთი დროის ზღვარისა.

ძნელდება დადგენა პოემის თარიღისა. არიოპაგელის ხერხს მიმართავს პოეტი. იცის არ გაძნელდება დადგენა მოვლენის თარიღისა. „ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“. მოვლენა სატურნისა და იუპიტერის შეყრისა (1226) წლის 4 მარტი.

ვეფხისტყაოსანის ტექსტის დამდგენი კომისის მიერ დაზუსტებული და აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოცემული პოემა. (1421)ე სტროფის (2)ე სტრიქონში აღწერილია იგივე მოვლენა.

მანამ სტროფისა და მოვლენის მნიშვნელობათა იდენტურობას დავადგენთ, მანამდე ვარჩიოთ პოემის სტროფების დანომრვისადმი კრიტიკულ დამოკიდებულება. ვფიქრობ, აუცილებელია ასეთი მიდგომა. პოემის მნიშვნელობიდან გამომდინარე. არ ნიშნავს დიდი მეცნიერის შრომების რევიზიას. მიზანი ჭეშმარიტებასთან მაქსიმალური მიახლოებაა.

პოემა ვერ იქნება ცალკე განყენებული.მიწას გარიდებული.მისი ფასი გამოძახილი თავისივე დროისა.

(1421) და (1226) თარიღი და მოვლენა აცდენილია. თუ ორივეს ჩავთვლით თარიღად, სხვაობა (195). თუ კალენდარული წონასწორობით დავაჯგუფებთ: (14; 21) და (12;26). კაბალით მიიღება (521) და (326). სხვაობა ისევ (195). ორივე თარიღი სიმბოლურია, პირველი პეტრე იბერის იძულებით კურთხევამდე (1) წელი (522). მეორე ასაკი ქართლის მოქცევისა 1 (325;326).

მუშთარ, ზუალის შეყრა პოემის ორ სტროფშია.მეორე სტრიქონში: (964) და (1421). უფრო დაზუსტებით: ზუალი (2), მუშთარ (4). სტროფები (959; 964; 1421; 1617).სტრიქონების

ნუმერაცია (1; 2; 2; 1). ქარაგმა მიმდევრობით (1221). კალენდარულად 33 (12; 21).

ზუალის სტროფების ნუმერაციის ჯამი: (2385). მუშთარისა (4961). კაბალა (18) და (20). კალენდარული წრით კაბალა სტროფი-სტრიქონის ნუმერაციისა: 49 (4; 9) და 26 (2; 6). კაბალა (13) და (26). იგივე (13)ე საუკუნის (26)ე წელია. ჯამი (75).

ცხადია რუსთველმა ბრწყინვალედ იცის ასტრონომია, იცის ზუსტი თარიღი შეყრისა. დაჯგუფების მნიშვნელობა (4) და (3). იგივე ოთხი მარტია.

(1226) წელს ასაკი რუსთველისა (75), იოანე ზოსიმესი (195). ასაკი პეტრე იბერისა (763). ქარაგმა სტროფისა და მოვლენის მნიშვნელობათა სხვაობისა ასაკი ზაქისა (195).

ჯამი (შეყრა) მუშთარის და ზუალის ასაკისა 958(763;195). სხვაობა 463 (1421; 958). თარიღი პეტრე იბერისა.სხვაობა სიმბოლოთა მნიშვნელობებისა: 1 (325; 326) და (521; 522).პოემის სტროფისა და მოვლენისა 5 (1221; 1226). ერთად (15) ან (51). ქარაგმა (66). პირველი ორი სიმბოლო რუსთველისა (15) ზაქი, (51) თარიღი.

სხვაობა (1)ის ქარაგმა 1222 (1221; 1). ხუთისა 1217 (1222;5) და 527 (522;5). სამივე მოღვაწის ასაკი 1033 (75;195;763). შეყრა ორისა ქარაგმა ორი კაცისა. ასაკი 200 (100;100). ქარაგმა ტბელის კალენდარის თარიღისა: 1233(1033;200).

(1221) წელს ასაკი თამარისა 55 (1166; 1221). ქარაგმა ზაქისა (რუსთველისა) 60. ერთად (5560). იბერის ქარაგმით ასაკი დასაბამიდან ქრისტეშობამდე.

დასკვნა: (1226) წელს რუსთველი ცოცხალია, აგრძელებს პოემის წერასა. (1233) წელს იცის ასაკი პეტრე იბერისა (770).

ქარაგმა (1221) და (521). თარიღი ორივეს ჯვარცმისა.ასაკი (700) და (70).

სარჩევი

ხარმა თქვა 5
სახლი ხლათისა 6
სამდურავი კაცისა 8
სახლი პაპის ხარისა 10
სახლი სამი ხარისა 11
ხმა მოძღვარისა 12
ცრემლი კაცისა 13
მოლხენა კაცისა 14
სახლი ბაკოსა 16
ვერ გაიხარა მტერმაო 17
სახელი დიდი ხანისა 18
სახელი ზანთა პაპისა 20
ამბავი კოკის წყალისა 21
ამბავი კაპის ხევისა 22
ზახილი დაბის ზაქისა 23
შრატიანის ტბა..... 24
ლექსი კაპანის ხარისა 25
მიაქვს ჭაპანი ტოლისა 27
იახილ 28
ხასი და თავი კაცისა 29
ქარ-თი 30
ზახილი ზანთა ხარისა 31
ამბავი ხეთთა ხიზანისა 32
ხმა მეხურისა 33
საგალობელი პაპისა 34
ზახილი ზანთა მიწისა 35

მთასა ხერისა 36
მთასა პატარა სახლია 38
ხმა მეხისა 39
დაუკოდიათ ბოკვერი..... 40
ფასი პატარა ხარისა 41
სახლი ტყის პირსა 42
მთა პანთახისა 44
იბერთა ყიჟინა 45
მთასა ხარფუხისა 46
ზახილი ხვადის დედისა 47
ზახილი ზანთა კაცისა 49
თაპილას ტბასა 51
მეფისა ქალი ვარჩიე 53
ნატვრა პატარა კაცისა 53
სიმღერა ზარისა 54
მე წავალ, ლექსი დარჩება 55
იცოდა ხალხი ბრძენია 56
პირველი ქრისტიანისა 57
სახლი ღირსებისა 58
ივლიტას კველი სახლისა 60
ამბავი კაცის სიყვარულისა 61
რა ენაღვლება მპარავსა 62
სამ თასა 63
მოვიდოდა წმინდა ქალი 64
ხეთთა ხიზანი 65
უფლისწულის ხსოვნისა 67
ხმა ბუნებისა 69
მთასა ჩირუხისა 70

ამბავი დაბის ნასახლარისა 71
ბუნება ითხოვს შველასა 75
სააქაოდან საიქიომდე 76
მეურჩებოდა კურცხალი 77
ცივი სამარე 78
მეგონა ავად ვიყავი 79
ლექსი სახლისა დაკარგულისა 80
მთა ზაქის ხარისა 82
ლოცვა დედისა 83
თაკარა ზანთა პაპისა 84
თურმე ნაბიჯსა ითვლიან 86
მღვრიეთა მოედინება 87
კიბესა 88
დრო და მანძილი 89
თურმე ნაპრალი ტიროდა 90
წავა და მოვა ზამთარი 91
ხსოვნასა მეფისა თამარისა 92
ამბობდა ფიფქები 93
დედამ ფერია დამარქვა 94
ბედიას ხარი ყოფილა 96
მოუთხოვია გურიას 97
ეღიმებოდა ფიროსმანს 98
ჰო და ხმა იყოს ციალის 99
პატრიკიოსსა პეტრესა 100
ზარია ბოლო ჟამისა 101
ვნება წავართვი ნებასა 102
ვიცოდი კაცი იტყოდა 103
გაყიდულია სამყარო 104

სარკემ თქვა..... 105
რიგია 106
სი სახლი 107
არ თქმული 108
ვენერა 109
ხარაკირი 110
ხმა ხეთთა ლომისა 111
სახლი ისიდასი 112
სახიერი და უსახო 113
ხელი რიტორისა 114
დარჩება დასარჩენია 115
მადლითა შესაკრებელი 116
დადება ფეხის ფასისა 117
ტანი ცოდნისა 118
ჭარსა რომ დაუტევია 119
შეყრა თავის და ტანისა 120
კოდორი 121
ივლიტა სახლი კვირიკესი 122

ხარი(ა) თალი-მთას შავ-თეთრი საბურველი აკრავს.ცივი ნათება მთვარისა.არსად ჩანს მთვარე.მთა მთლიანად შავია.დაფარულია თოვლითა.შავი ფერის ალეგორია ბურუსი.დაფარული ამბავი მთისა.ზამთარი ცივი.ხალხი გაურბის მთასა. ალეგორია:სიცივე ხალხისა.მთვარე ანათებს.ვერ ათბობს მთასა. ცივა.ხალხი გაურბის სიცივესა.ვერ ამჩნევს თალსა ხარისა.მთვარის სინათლე ეფინება მთასა. არაფერია დაფარული.ვერავინ ამჩნევს მთასა ხარისა.მოწყვეტილ ზვავებს შუა ამოზიდულა ვითა თავი ხარისა,დგას ვითა მებრძოლი იაკობი.მორევი ვერ მორევია თალსა. თოვლი დაუბერტყია მებრძოლსა. ჰგონია დავამარცხებო ზამთარსა.გაიგებსო ხალხი ამბავსა.

ათასგზის გაუმკლავდა ნიაღვარსა ტალახისა.ზამთრი დასასრული ჰგონია მნელისა.ჰგონია მივა ხალხი,იტყვის ხარის სათქმელსა.რვასი წელი ვერ წაუქცევია მორევსა.ამარცხებს ტალახის ნიაღვარსა.ხარი ელის სითბოსა თავისივე ხალხისა. თალი უდრეკი სულია ხარისა.პაპის ხმა ელის მოდგმასა.

უკან სილუეტი ნაგაზისა.ცივა,თოვლი ფარავს ტანსა. ერთგული დარაჯობს თალსა. ძაღლი ელის პატრონსა.

მთა ელოდება კაცის ხელსა.ელოდება დაძლევას ხალხის სიცივისა.ხარი ელის მისვლას მისივე მოდგმისა.ლამობს გამხელას დამალულისა.დიდია ფასი ნაღვაწისა.დიდია ძალა სიწმინდის დაცვისა.წმინდაა ჭაპანი ხალხის ხარისა.წმინდაა ხმა მთას მოგუგუნე ზარისა.წმინდაა სახელი ზვარაკად შეწირული ხარისა.დიდია ვალი მისივე გვარისა.მნელსა ძნელია პოვნა კვალისა.

უფალო მოგვეცი ძალა პაპის სახელის დაცვისა.სინათლე ბრმათა თვალისა.